როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო 5

მოსწავლის წიგნი
მეორე ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „კლიო“

როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო, V კლასი, მეორე ნაწილი

მოსწავლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

მხატვარი ივანე ყიფშიძე

რუკები ზურაბ ლაოშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მამუკა ლოლაძე
ნანა ესართია

ყდის დიზაინი
ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018

მეორე გამოცემა — 2019 წელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-06-2 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-481-08-6 (მეორე ნაწილის)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

საქართველოს ფიზიკური რუკა 4

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა 6

კარი 3

სამეგრელო 8

3.1. სამეგრელოს მდებარეობა და ბუნება 10

3.2. სამეგრელო წარსულში და დღეს 12

3.3. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა სამეგრელოში 14

3.4. საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლებები სამეგრელოში ძველად 16

3.5. მეურნეობის დარგები სამეგრელოში 18

3.6. მეგრული ტრადიციები 20

3.7. სამეგრელო – საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის დამცველი 22

რა ვიცი და რა შემიძლია 24

კარი 4

სვანეთი 26

4.1. სვანეთის მდებარეობა 28

4.2. დასახლების ტიპი და საცხოვრებელი სახლი სვანეთში 30

4.3. მთაში გადაადგილების საშუალებები და საფრთხეები 32

4.4. სტიქიური მოვლენები სვანეთში 36

4.5. სვანური მითები და ნადირობის ტრადიცია 38

4.6. მეურნეობის დარგები სვანეთში 40

4.7. სვანეთი – საქართველოს განძთსაცავი 43

რა ვიცი და რა შემიძლია 46

კარი 5

აჭარა 48

5.1. აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა და ღირსშესანიშნაობები 50

5.2. აჭარული კარმიდამო და დასახლების ტიპები 54

5.3. აჭარული სტუმართმოყვარეობა 56

5.4. აჭარელთა სამეურნეო საქმიანობა 58

5.5. რელიგია აჭარაში 60

5.6. აჭარა – ქართული ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი 62

5.7. აჭარული ფოლკლორი 66

რა ვიცი და რა შემიძლია 68

საქართველოს ფიზიკური რუკა

41°
42°
43°
43°
42°
41°
41°
42°
43°
3232
მ. ურუპი
ყარაჩაევსკი
არხიზი
3746
მარუხის უღ.
2782
ალუხორის
5642
მ. იალბუზი
თირნიაუზი
4700
მ. უშბა
5068
მ. შხარა
2656
მ. არაბიკა
ფსოუ
რიწის ტბა
ზ ზ ი ფ ი ს ქ ე დ ი
ბზიბ
ბიჭვინთა
ახალი ათონი
გუდაუთა
სოჩი 133
ამტყელის ტბა
ენგური
ენგურ
ენგ
ენგ
ენ
ენ
ენ


პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
სახელმწიფოს დედაქალაქი
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვაო გზა
საზღვრები
სახელმწიფოს
ავტონომიური რესპუბლიკის
მხარის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
მყინვარი
ჭაობი
სიღრმეები და სიმაღლეები, მ
უფრო ღრმა
1500
500
200
100
0
100
200
500
1000
1500
2000
2500
3000
3500
უფრო მაღალი
სხვა აღნიშვნები
2494 სიმაღლითი ნიშნული
3367 უღელტეხილი
44°
45°
46°
42°
41°
ედამრაცია
ლჩიკი
ბაქსანი
ტერეკი
ელხოტოვო
ბესლანი
ნაზრანი
ალაგირი
ბურონი
ბაქსანი
ბერგი
ბერგი
ბერგ

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა



ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ:

1 - მაღრან-დვალეთი
2 - თრუსო
3 - მთის რაჭა
4 - კუდარო
5 - ხანდო
6 - ჭართალო
7 - გუდამაყარი
8 - თბილისი

სახელმწიფო საზღვარი

საზღვარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის

ზღვის სანაპირო

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ 1: 2 400 000

კარი 3.
სამეგრელო

ამ კარში გაიცნობ დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – სამეგრელოს. მიიღებ პასუხს კითხვებზე: როგორია სამეგრელოს მდებარეობა და რა გავლენა აქვს ამას მის ბუნებასა და მეურნეობაზე, დასახლების ტიპებსა და ტრადიციებზე; რას მოგვითხრობს ამ მხარის წარსულზე ძველი მითები და არქეოლოგიური აღმოჩენები; რა წვლილი მიუძღვის სამეგრელოს საქართველოს ისტორიაში.







ს ვ ა ნ ე თ ი
ა ბ ა ს ა ნ ი
3111
მ. ლაკუმურაშდუდი
ჯვრის წყალსცილი
2167
მ. ოხაჩქუე
2038
ტობავარჩხილის ტბა
მ. ყვირა
ჯვარი
ენგური
ჯგალი
ნალენჯიხა
ჭანისწყალი
ხობი
ზუგდიდი
ჯიხასკარი
ჩხოროწყუ
ქაქვინჯი
ცაიში
მ. ურთა
2520
ხობი
ტეხური
სეფიეთი
აბაშა
ცხენისწყალი
სენაკი
მუხური
აბაშა
მარანი
ფიჩორი
ფასტომის ტბა
ლ ე ბ ა ნ ი
ს ა ბ ლ ო ბ ი
ა ბ ა ს ა ნ ი
კურ. ლებარდე
2520
მ. გადრეკილი
ტეხური
ა ს ხ ი ს
მ ა ს ი ვ ი
ლექაჯაიე
მარტვილი
დიდი ჭყონი
რაჭა-ლეჩხუმი
ს ვ ა ნ ე თ ი
ა ბ ა ს ა ნ ი

3.1 სამეგრელოს მდებარეობა და ბუნება

რა გავლენა აქვს სამეგრელოს მდებარეობას მის ბუნებასა და მეურნეობაზე?

ლექსიკონი

კოლონია (ახალშენი) – ეწოდება ძველი ბერძნების მიერ დაარსებულ დასახლებებს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, უმეტესად, ზღვისპირეთში, სადაც მხოლოდ ბერძნები ცხოვრობდნენ, ან ადგილობრივი მოსახლეობა ბერძნებთან ერთად.

დავალება

1. საქართველოს რომელი მხარეები ესაზღვრება სამეგრელოს?
2. სამეგრელოში მდებარე რომელი ქალაქია გაშენებული შავი ზღვის პირას?
3. მოძებნე რუკაზე (გვ. 8-9) სამეგრელოს მთავარი ქალაქი.

წყარო 2. ალექსანდრე დიუმა მეგრელებზე

„მეგრელი ქალები მეტადრე ქერა, შავთვალა და შავგრემანი ცისფერთვალება ულამაზესები არიან დედამიწის ზურგზე... განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მსახურებსაც კი თავადიშვილის იერი აქვთ“.

სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. მისი საზღვრები და სახელწოდება წარსულში ბევრჯერ შეიცვალა. ის კოლხეთის დაბლობზე და მის მიმდებარე მთებსა და გორაკ-ბორცვიან ადგილებში მდებარეობს. შავი ზღვის სიახლოვის გამო, სამეგრელოში ძირითადად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, რომლისთვისაც უხვი ნალექი, უთოვლო ზამთარი და შედარებით გრილი ზაფხულია დამახასიათებელი. ის ციტრუსების, თხილისა და ჩაის წარმოებით არის ცნობილი.

საქართველოს ამ ძირძველ მხარეს სახელი „სამეგრელო“ თავიდანვე არ ერქვა. ძველი ბერძნები, რომლებსაც შავი ზღვის სანაპიროზე რამდენიმე კოლონია ჰქონდათ, მას **კოლხეთს** უწოდებდნენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა – **ეგრისს**. ეგრისიდან წარმოიშვა აქ მცხოვრები ქართველების სახელწოდება – მეგრელი და მეგრელისაგან – სამეგრელო. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეგრისს ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები **ლაზიკად** მოიხსენიებდნენ.

წყარო 1. არქანჯელო ლამბერტის ცნობა სამეგრელოს შესახებ

„უმეტესი ნაწილი კოლხიდისა შედგება მშვენივრად შემოსილი მთებისგან, თუმცა, ნაყოფიერი ვაკეები აკლია. ნადირობა, როგორც ფრინველზე, ასევე ოთხფეხაზე, დიდად გავრცელებულია. ჰაერი ზომიერია, თუმცა მაინც და მაინც საღი არ არის“.

წყარო 3. მეგრელი ქალები

სამეგრელოს ბუნება

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათობით ნაკრძალი და ეროვნული პარკია, რომლებიც დაცულ ტერიტორიებად არის გამოცხადებული.

სამეგრელო ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და ღირსშესანიშნაობებით მდიდარი მხარეა. განსაკუთრებით გამოირჩევა **კოლხეთის ეროვნული პარკი**, სადაც გადამფრენი ფრინველები მიგრაციისას ისვენებენ. მათ დროდადრო მხოლოდ ტურისტების მზერა და შეძახილები აფრთხობს, სხვა მხრივ, მონადირეებისაგან „დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს.

წყარო 4. გადამფრენი ფრინველები კოლხეთის ეროვნულ პარკში



წყარო 5. საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა

სამურზაყანოს წარმოშობა

მეგრელები, სამეგრელოს ეთნოგრაფიული მხარის გარდა, კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის რაიონში. დაახლოებით 300 წლის წინ ამ მხარის მმართველი გახდა მურზაყან შარვაშიძე, რომლის სახელის პატივსაცემად აფხაზეთის ამ ნაწილს სამურზაყანო ეწოდა.

დავალება

4. მოიძიე ინფორმაცია კოლხეთის ეროვნულ პარკზე. რომელი ცხოველები და ფრინველები ბინადრობენ იქ? რომელ მათგანს ემუქრება გადაშენების საფრთხე?

ნიკო ნიკოლაძე და ფოთის პორტი

ნიკო ნიკოლაძეს ფოთის აღმშენებელს უწოდებენ. ფოთი დაბალ და ჭაობიან ადგილას მდებარეობდა. ნოტიო ჰავის გამო ციებ-ცხელებისა და ქოლერის საფრთხის ქვეშ მყოფ ქალაქში ხალხი არ სახლდებოდა. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქალაქის თავად (მერად) ნიკო ნიკოლაძე – ცნობილი საზოგადო მოღვაწე აირჩიეს. უპირველესად, მან ჭაობის ამოშრობის ღონისძიებებზე იზრუნა, შემდეგ თბილისამდე რკინიგზის გაყვანაზე. ამის გარეშე ფოთის ნავსადგურს განვითარების პერსპექტივა არ ექნებოდა. მან ორი მიზანი დაისახა და ორივე შეასრულა: ნავსადგურის გადაკეთება და მოდერნიზაცია, ასევე ფოთის ახალი გეგმის მიხედვით აშენება, მისი კეთილმოწყობა. ამით ნიკო ნიკოლაძემ, ფაქტობრივად, „გაჭრა ფანჯარა ევროპაში“, გადაჭიმა სამი ხიდი, მოსპო ძველ ხიდზე გადასასვლელი ბაჟი, გაიყვანა ქალაქში ელექტროენერგია, ხის სახლების ნაცვლად აგურის შენობები ააშენა, გახსნა გიმნაზია და სკოლები, მოკირწყლა ქუჩები, გაიყვანა ახალი გზები, დაარსა ბანკი და სხვ.

დავალება

5. რატომ ჩათვალა ნიკო ნიკოლაძემ, რომ უპირველესი ამოცანა ჭაობის ამოშრობა იყო?
6. შენი აზრით, რას ნიშნავს რკინიგზა, გზები ქალაქისა თუ, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის.
7. იმსჯელეთ, რატომ თვლიან, რომ ნიკო ნიკოლაძემ „გაჭრა ფანჯარა ევროპაში“?

3.2 სამეგრელო წარსულში და დღეს

როგორი იყო ძველი ბერძნების თვალით დანახული კოლხეთი?

ლექსიკონი

ოქროს საწმისი – ცხვრის ოქროს ტყავი, რომელიც კოლხეთში საბერძნეთიდან მოხვდა.

კოლხეთის მცხოვრებლებმა ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე ექვსი საუკუნით ადრე შექმნეს სახელმწიფო, რომელსაც ბერძნული წყაროები **კოლხეთის სამეფოს** უწოდებდნენ. კოლხებს დიდი რაოდენობით ჰქონდათ ოქრო, ვერცხლი, რკინა. ოქროს კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში მყოფი სვანეთის მთებში მოიპოვებდნენ. ძველმა ბერძნებმა მისი სიძლიერისა და სიმდიდრის შესახებ კარგად იცოდნენ, ამიტომ ეს ულამაზესი მხარე მათ იზიდავდა.

კოლხეთის სიმდიდრე იყო ის მიზეზი, რის გამოც იქ, ძველბერძნული მითის თანახმად, **არგონავტებმა** ილაშქრეს. ბერძენ მოლაშქრეებს არგონავტებს იმიტომ უწოდებდნენ, რომ ისინი კოლხეთში მიცურდნენ გემით, რომელსაც **„არგო“** ერქვა. არგონავტების ლაშქრობის დროს კოლხეთში აიეტი მეფობდა. არგონავტების მეთაურს, იაზონს კოლხეთში უამრავი თავგადასავალი გადახდა. საბოლოოდ, მან კოლხეთის მეფეს **„ოქროს საწმისი“** და ქალიშვილი – **მედეა** გასტაცა.

ნაწყვეტი მითიდან არგონავტებზე

არგონავტებმა „დაინახეს კოლხთა მეფის სასახლე, გალავანი ფართო კარიბჭით და სვეტები რომლებიც კედლებს გარშემო ევლებოდა. სასახლის ზემოთ სპილენძის მძიმე ფილებზე აღმართული იყო კოშკი. ეზოში ოთხი წყარო მოჩუხჩუხებდა. ერთი მათგანი რძის იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთის, მეოთხე კი წყაროს წყალი ანკარა“.

მედეა

მედეას სახელს უკავშირებენ მედიცინის თანამედროვე სახით განვითარებას. ლეგენდის თანახმად, მედეას მკურნალობის საოცარი ნიჭი და ცოდნა ჰქონდა, მას ბევრი უკურნებელი სენის წამლობა შეეძლო.

წყარო1. ბერძნული საფოსტო მარკა

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რა შედეგი მოუტანა არგონავტების მოგზაურობამ საქართველოს – დადებითი თუ უარყოფითი. პასუხი დაასაბუთე.
2. შენი სიტყვებით აღწერე მეფე აიეტის სასახლე.
3. განსაზღვრე, არგონავტებზე მითის დახმარებით, რომელ ლითონს „იცნობდნენ“ კოლხები?
4. აღწერე წყარო 1. ვინ არიან გამოსახული მარკაზე?

ძველბერძნულ მითებში მოთხრობილია, რომ კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი **კვიტაია** (მოგვიანებით – ქუთაისი) იყო. მითში „არგონავტების მოგზაურობა“ აღწერილია აიეტის ულამაზესი სასახლე და კოლხების ქვეყანა.

მითებს ხშირად საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. წარსულში ამის არ სჯეროდათ. ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ არგონავტების ამბავი მოგონილი იყო და იმ პერიოდში ბერძნები კოლხეთში ჩასვლას ვერ შეძლებდნენ. იმის დასამტკიცებლად, ნამდვილად შეეძლოთ თუ არა არგონავტებს ამ მოგზაურობის მოწყობა, მოხალისეთა ჯგუფმა, ძველი ტექნოლოგიების დაცვით, არგოს ზუსტი ასლი ააგო. 1984 წელს ახალი დროის „არგონავტებმა“, კაპიტან **ტიმ სევერინის** მეთაურობით, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, არგონავტების გზა გაიმეორეს და ფოთში მშვიდობიანად ჩავიდნენ.

წყარო 2. ტიმ სევერინის მიერ ძველი ტექნოლოგიებით აგებული „არგო“

წყარო 3. ცხვრის ტყავი. თურმე, ძველად სვანეთში ოქროს მოპოვების შემდეგი წესი არსებობდა: ცხვრის ხშირბეწვიან ტყავს ჩააგებდნენ მდინარეში, რომელსაც ოქროს ქვიშა მოჰყვებოდა. ოქროს მარცვლები დროთა განმავლობაში ტყავზე ილექებოდა. მას წყლიდან იღებდნენ, მზეზე აშრობდნენ და ოქროს აგროვებდნენ.

არგონავტების მითის შესახებ რამდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, ასევე, 2008 წელს შეიქმნა კომპიუტერული თამაში „არგონავტების გაცოცხლება“ (Rise of the Argonauts).

დავალება

5. მონიშნე არგონავტების მოგზაურობის პერიოდი დროის ხაზზე.
6. სამეგრელოს გარდა, რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში?
7. მოიძიე ინტერნეტში კომპიუტერული თამაში „არგონავტების გაცოცხლება“. შენი აზრით, შეესაბამება თუ არა იგი მითში აღნიშნულ ამბებს. პასუხი დაასაბუთე.

3.3 კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა სამეგრელოში

რას მოგვითხრობს მიწისქვეშ მოქცეული კოლხური ნასახლარები?

არქეოლოგები კოლხეთში ბევრ ნასახლარს და სხვადასხვა კულტურის ძეგლს პოულობენ. ჯერ კიდევ უძველეს დროში იქაურმა მოსახლეობამ მდიდარი კულტურა და მეურნეობის სხვადასხვა ფორმა შექმნა. ამ კულტურას თავისი გამორჩეულობის გამო მეცნიერებმა **„კოლხური კულტურა“** უწოდეს. განსაკუთრებულია აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები, საოჯახო ნივთები და მონეტები, რომელსაც **„კოლხურ თეთრს“** უწოდებენ. ფულის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ კოლხეთის სამეფო შავიზღვისპირეთში ყველაზე განვითარებული სახელმწიფო იყო.

წყარო 1. პირველი ქართული ფული – კოლხური თეთრი

წყარო 2. თანამედროვე თეთრი

დავალება

1. რით ჰგავს თანამედროვე თეთრი კოლხურ თეთრს?

იმ დროს, როდესაც კოლხეთის სამეფო არსებობდა, ქართველთა წინაპრები ჯერ კიდევ საერთო ენაზე საუბრობდნენ. არ არსებობდა სვანური და მეგრული დიალექტი. კოლხეთის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნულმა კოლონიზაციამ. **ბერძნული კოლონიები**, ანუ ახალშენები (ფაზისი, გიენოსი, დიოსკურია, პიტიუნტი) იქ ძვ.წ. VI საუკუნეში შეიქმნა. მათ ხელი შეუწყეს დასავლეთ საქართველოში სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და დააჩქარეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარება.

ბერძნული კოლონიები საქართველოში

ბერძნებმა კოლონიები საკუთარი მიზნებისთვის დააარსეს. ისინი ასეთი საშუალებით ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობდნენ, მათგან ყიდულობდნენ ისეთ პროდუქტს, რომელიც საბერძნეთში არ მოიპოვებოდა ან ცოტა იყო. სამაგიეროდ, საკუთარ ჭარბ პროდუქციას ყიდდნენ. ბერძნებს საქართველოდან გაჰქონდათ ხე-ტყე, თაფლი, ცვილი და სო-

ფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. თავად შეჰქონდათ ძვირფასი ნაკეთობები, კერამიკა, ღვინო და სხვა. ქართველებისგან განსხვავებით, ბერძნები წყალში გაზავებულ ღვინოს სვამდნენ, ამიტომ ქართული ღვინო მათთვის ძალიან მათრობელა იყო და უპირატესობას საკუთარ ღვინოს ანიჭებდნენ. ბერძნებს, კოლხეთის სამეფოს ტერიტორიის გარდა, სხვაგანაც ათობით კოლონია ჰქონდათ შექმნილი. თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ისინი მხოლოდ ქართულ კოლონიებში ცხოვრობდნენ.



წყარო 3. ბერძნული ახალშენები (კოლონიები)

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

2. რატომ შენდებოდა ბერძნული ახალშენები ზღვის სანაპიროზე?
3. როგორ ფიქრობ, რატომ ცხოვრობდნენ ბერძნები, შავიზღვისპირეთის სხვა კოლონიებისგან განსხვავებით, კოლხეთში მდებარე ახალშენებში (წყარო 2) ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად?
4. მოიძიე, კლასგარეშე რესურსების მეშვეობით, ინფორმაცია ვანის ნაქალაქარის შესახებ.
5. შენი აზრით, რატომ ჰქვია დღეს ქართულ ხურდა ფულს თეთრი?
6. მოიძიე ინფორმაცია, რუკაზე დატანილ კოლხეთის ახალშენებს რა სახელით მოიხსენიებენ დღეს. შეადგინე რვეულში ცხრილი „ბერძნული ახალშენების ძველი და თანამედროვე სახელები“.

3.4 საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლებები სამეგრელოში ძველად

როგორ სახლებსა და დასახლებებში ცხოვრობდნენ ძველად სამეგრელოში და რატომ?

ლექსიკონი

ისლი – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, რომელსაც სახლის გადასახურად იყენებდნენ.

თანამედროვე ადამიანის და ჩვენი წინაპრების ცხოვრების პირობები ერთმანეთისგან განსხვავდება. საცხოვრებელი პირობების მსგავსად, არც საცხოვრებელი სახლები და დასახლების ტიპი არის იგივე. თუ აღმოსავლეთ საქართველოში სახლები, ძირითადად, ქვითკირით შენდებოდა, დასავლეთ საქართველოში ხის სახლები ჰქონდათ, რომლებიც ნესტგამძლეა. არცთუ იშვიათი იყო მოწნული სახლებიც. სამეგრელოში მოსახლეობა ფაცხასა და ჯარგვალში ცხოვრობდა. ფაცხა წნულით შემოღობილი და თიხა-ტალახით შელესილი იყო, ჯარგვალს კი ხის მორებით აშენებდნენ. ისინი უმეტესად ისლითა და ყავრით იყო გადახურული. მოგვიანებით, ოდასახლები გაჩნდა, რომლებიც დახერხილი ფიცრებით კეთდებოდა და ხიმინჯებზე იყო შემდგარი.

წყარო 1. ფაცხა

წყარო 2. ჯარგვალი

წყარო 3. მეგრული ოდასახლი

სამეგრელო ზღვასთან ახლოს არის. ზღვის სიახლოვე კი ჰავის ტენიანობას განაპირობებს. რომ არა ასეთი ტიპის საცხოვრებლები, ადამიანებს გაუჭირდებოდათ ცხოვრება. ქვითკირის სახლი ჰაერიდან ადვილად იღებს სინესტეს, შესაბამისად, კედლები გამუდმებით სველი იქნებოდა. თანამედროვე სამეგრელოში კოხტა და საგულდაგულოდ მოვლილი ეზო-კარმიდამოები აქვთ, რითაც ეს მხარე თავს იწონებს.

✓ დავალება

1. გაიხსენე, როგორია სამეგრელოს ჰავა.
2. როგორ ფიქრობ, რატომ ანიჭებდა მეგრელი გლეხი უპირატესობას მოწნულ და ხის სახლს, მოგვიანებით კი, ხიმინჯებზე შემდგარ ოდასახლს.

✓ დავალება

3. დღეს როგორ სახლებს აშენებენ სამეგრელოს სოფლებში? ახსენი, რატომ. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია როგორ მზადდება ყავარი და ისლი. დღეს რით ხურავენ სახლებს.
4. ფაცხა საქართველოში ძალიან გავრცელებული ნაგებობაა. სად შეგხვედრია იგი და, როგორ ფიქრობ, დღეს რა დანიშნულებით აგებენ მას.

ბუნებრივი პირობების გამო, სამეგრელოში სახლები ერთმანეთისგან დაშორებული ჰქონდათ და დასახლება გაშლილი იყო.

დასახლების სხვადასხვა ტიპს საგარეო ფაქტორიც განაპირობებდა. დასავლეთ საქართველოში ხშირი ტყის გამო მტერი ადვილად ვერ აგნებდა სოფლებს, რომლებიც ხეებში იყო ჩაფლული, აღმოსავლეთში კი ამას უფრო ადვილად ახერხებდა. შესაბამისად, თავი რომ უკეთ დაეცვა, მოსახლეობა ახლო-ახლოს ცხოვრობდა. დასავლეთ საქართველოში ამის საჭიროება არ იყო.

დავალება

5. რა განაპირობებდა სამეგრელოს დასახლების ტიპს?
6. გაიხსენე, როგორი დასახლების ტიპი იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში.
7. ჩამოთვალე ქართლისა და სამეგრელოს დასახლების ტიპებს შორის განსხვავების მიზეზები.

დადიანების სასახლე

ეს ისტორიული სასახლე და ამჟამად მუზეუმი სამეგრელოს მთავრების რეზიდენცია იყო. სასახლის მუზეუმი საქართველოში უძველესია. მისი უნიკალური კოლექცია მოწმობს, რომ სასახლეში ევროპული ყაიდით ცხოვრობდნენ. იქ დაცულია ბიბლიოთეკა ფრანგული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით, ქართული საისტორიო მწერლობის იშვიათი ნიმუშებით. ასევე სასახლეში არის ძვირფასი ჭურჭელი, ევროპული ავეჯი, ქართველი, რუსი და ევროპელი მხატვრების ნაწარმოებები, კლასიკური ოპერის კლავირები და სხვ. იქ არის საქართველოში ყველაზე დიდი სამეჯლისო დარბაზიც.

წყარო 4. ტურისტები ზუგდიდში დადიანების სასახლესთან

დავალება

8. მოიძიე ინფორმაცია ზუგდიდის დადიანების სასახლის შესახებ და შეადგინე იმ გამორჩეული ექსპონატების ნუსხა, რომელიც იქ არის დაცული.
9. რა მოწმობს, რომ სასახლეში ევროპული ყაიდით ცხოვრობდნენ?

3.5 მეურნეობის დარგები სამეგრელოში

რა თავისებურებები ჰქონდა სამეურნეო საქმიანობას სამეგრელოში?

წყარო 1. მცენარე ღომი

წყარო 2. ფეტვი

✓ დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ ჩაანაცვლა საქართველოში ღომის მოყვანის კულტურა სიმინდის კულტურამ?
2. შეძლებისდაგვარად, სახლის პირობებში, დათესე და გაახარე მცენარე ღომი.
3. გაიხსენე საქართველოში სიმინდის გავრცელების ისტორია.

სამეგრელოში, სხვა მხარეების მსგავსად, მიწათმოქმედება წამყვანი დარგი იყო. დღეს მთელ საქართველოში ხორბალი ფართოდ არის გავრცელებული და პური – ქართული სუფრის უმთავრესი ნაწილია.

წარსულში, სამეგრელოში გლეხს არა ხორბალი, რომლის ფქვილისგანაც პურს აცხობენ, არამედ ფეტვი და ღომი მოჰყავდა. შესაბამისად, მეგრელები ღომითა და მჭადით იკვებებოდნენ. მოგვიანებით კი, ღომის კულტურას სიმინდი ჩაენაცვლა. მესიმინდეობა იმდენად განვითარდა და ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ XIX საუკუნეში საქართველოდან სიმინდი გასაყიდად საფრანგეთშიც კი გაჰქონდათ.

სამეგრელოში ხორბლის მოყვანა შედარებით მაღლობ ადგილებში შეიძლებოდა, სადაც ნესტიანი ჰავა არ იყო. ამიტომაც ზღვის სიახლოვემ იქ ქართლ-კახეთისაგან განსხვავებული მიწათმოქმედების სისტემა ჩამოაყალიბა.

წყარო 3. ჟან შარდენი მეგრელებსა და ღომზე

„მეგრელების ჩვეულებრივ საკვებ მარცვლეულს წარმოადგენს ღომი. ხარშავენ მხოლოდ მაშინ, როცა ჭამის დრო დადგება. ...სუფრაზე შემოაქვთ საგანგებოდ გაკეთებული ხის პატარა ნიჩბებით. თურქები ამ პურს უწოდებენ „პასტას“, მეგრელები კი „ღომს“. ...მეგრელები... მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაფით იკვებებიან. ეს არის მათი პური, სხვა მათ არ გააჩნიათ...“

წყარო 4. სიმინდის ყანა

მევენახეობა-მეღვინეობა სამეგრელოში

საქართველოს ბარში ანუ დაბლობში ყველგან იყო განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა, მათ შორის, სამეგრელოშიც. ქართველები მთასა და ბარს შორის საზღვარს ვაზის გავრცელების მიხედვით ადგენდნენ. სამეგრელოში გამოყვანილი ჰქონდათ ვაზის მრავალი ჯიში. ყველაზე დიდ მოსავალს და საუკეთესო ღვინოს კი ოჯალეშის ჯიშის ვაზი იძლეოდა, რომელიც დღეს პოპულარული ღვინოა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სამეგრელოს ისევე, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოს, ერთი თავისებურება ახასიათებს – აღმოსავლეთ საქართველოში თუ დაბლარი ვენახი აქვთ გაშენებული, დასავლეთში – მაღლარი.

მართალია დამწიფებული ყურძნის მაღალ ხეებზე კრეფა ძნელი იყო, მაგრამ აქაც ყველაფერი ბუნებამ გადაწყვიტა და ამ ნაბიჯისკენ გლეხს ზღვის სიახლოვით გამოწვეულმა ნესტიანმა ჰავამ უბიძგა. სარზე გაშვებული ვაზის ნაყოფი დაბლა ძნელად დამწიფდებოდა, მაღლა ხეზე ჰაერი უფრო კარგად უვლიდა და ყურძენიც კარგად მწიფდებოდა. ოღონდ ყურძენი სამეგრელოში შედარებით გვიან, უკვე ზამთრის დადგომისას მწიფდებოდა.

წყარო 6. ყურძნის წურვა სამეგრელოში. კასტელის ალბომიდან

წყარო 5. არქანჯელო ლამბერტის ცნობა სამეგრელოს შესახებ

„კოლხიდა მდიდარია... ღვინით, მაგრამ ღარიბია პურით“.

დავალება

4. გამოკითხე თანაკლასელები და მეგობრები, რომელ მათგანს აქვს სამეგრელოში სოფელი. გაარკვიე, რა ჯიშის ვაზი ხარობს მათ ეზოში და ღვინის გარდა, რას ამზადებენ მისგან?
5. საქართველოს შენთვის ცნობილ კიდევ რომელ მხარეში არის გავრცელებული მაღლარი ვენახი? ახსენი, რატომ არის სამეგრელოში გავრცელებული მაღლარი ვაზი?

სამეგრელოში ბოლო წლებში გააშენეს თხილის პლანტაციები. მოსახლეობას ასევე ციტრუსებიც მოჰყავს.

წყარო 7. თხილის პლანტაცია

წყარო 8. მანდარინის ბაღი

3.6 მეგრული ტრადიციები

რა ტრადიციებია გავრცელებული სამეგრელოში?

მარანი სამეგრელოში

მარანი აღმოსავლეთ საქართველოში იყო ნაგებობა, რომელშიც მიწაში ჩაფლული ქვევრები მდებარეობდა. ქვევრში ჩასხმული ღვინო კი განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდებოდა. ის დიდხანს ინახებოდა და თავის ყველა კეთილ თვისებას ინარჩუნებდა.

წყარი 1. ღია მარანი სამეგრელოში

დავალება

1. გამოკითხე მეგობრები და ნაცნობები, ვინც სამეგრელოში ცხოვრობს და დაადგინე, კიდევ ასრულებენ თუ არა ჯვრისწერისა და ნათლობის რიტუალს მარანში? ახსენი პასუხი.
2. მოიძიე ინფორმაცია სამეგრელოს რომელიმე ტრადიციაზე და შეადარე საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მსგავს ტრადიციას. მოამზადე პრეზენტაცია და წარადგინე კლასში.

სამეგრელოში კი, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, მარანი ნაგებობა არ იყო. აქ **„ღია მარანი“** არსებობდა. ასეთი მარანი ეზოში ჰქონდათ მოწყობილი, ხეების ჩრდილში. სამეგრელოში მარანს არა მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა, არამედ აქ ადამიანები რიტუალებსაც ასრულებდნენ. ჩვენს წინაპრებს მარანში ჩაფლული ქვევრები სხვადასხვა სალოცავისთვის ჰქონდათ მიძღვნილი. ასეთ ქვევრებში ჩასხმული ღვინო მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულსა და ამა თუ იმ ღვთაებისადმი ლოცვას უნდა მოხმარებოდა. მარანში ჩაფლული ქვევრი სამლოცველოს როლსაც ასრულებდა. ხშირად, თუ სოფელში ეკლესია არ ჰქონდათ, ნათლობისა და ჯვრისწერის რიტუალიც მარანში ტარდებოდა, ან ეკლესიიდან მობრუნებულ მაყრიონს ოჯახის უფროსი მარანთან ეგებებოდა და ნეფე-დედოფალი დასალოცად იქ შეჰყავდა. მარანში დაქორწინება ქრისტიანობის გავრცელებამდე არსებული მოვლენაა, რაც სამეგრელოში ქრისტიანობის მიღების შემდეგაც დარჩა. მარნის ეს უძველესი ფუნქცია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისთვისაც იყო დამახასიათებელი.

მეგრული სულგუნი

ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი საერთო ქართული კვებითი კულტურის, ანუ სამზარეულოს შექმნაში. განსაკუთრებულია მეგრელთა დამსახურება, რომლებმაც გამოიგონეს ყველის ისეთი სახეობა, როგორიც არის **სულგუნი**.

სულგუნი არის ჩვეულებრივი ჭყინტი ყველი, ოღონდ გადახარშული და გადაზელილი. სულგუნის დამზადების წესი კოლხეთის დაბლობის ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა. ტენიანი ჰავის გამო ჩვეულებრივი ყველის შედარებით დიდხანს შენახვის საშუალება არ იყო. გადაზელილ-გადახარშული ყველი ანუ სულგუნი კი ჩვეულებრივ ყველთან შედარებით დიდხანს ინახება, თანაც მეგრელებს ყველის შენახვა აუცილებლად სჭირდებოდათ იმიტომ, რომ ისინი მიწათმოქმედები იყვნენ და ბევრი ძროხა არასდროს ჰყოლიათ. მათ კი ყველის მარაგის შექმნაც სჭირდებოდათ, განსაკუთრებით, ზამთარში.

სულგუნი დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი ყველის სახეობაა. მას შეხვდებით როგორც დიდ სავაჭრო ობიექტებში, ასევე ბაზრის დახლებზე. ის ისეთივე პოპულარული საკვები პროდუქტია სამეგრელოდან, როგორც კახეთიდან ჩურჩხელა.

წყარი 2. სულგუნის დამზადების პროცესი

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

3. ჩამოთვალე მიზეზები, რატომ ამზადებენ სულგუნს სამეგრელოში? მოიძიე ინტერნეტში დამატებითი მასალა.
4. შენი აზრით, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბუნებრივ პირობებს ადგილობრივ სამზარეულოზე?

5

შებოლილი სულგუნი

განსაკუთრებული სახეობაა შებოლილი სულგუნი. ძველად სულგუნის დიდ თავებს კერიის თავზე კიდებდნენ და შუაცეცხლიდან ასული კვამლი დროთა განმავლობაში ყველს ყავისფერ შეფერილობას აძლევდა. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული სულგუნი კიდევ უფრო დიდხანს ძლებდა და გემოვნური თვისებებიც ეცვლებოდა. დღეს კვლავაც ბოლავენ სულგუნს, თუმცა, ამჯერად უკვე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

წყარი 3. შებოლილი სულგუნი

3.7 სამეგრელო – საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის დამცველი

როგორ გამოხატავდა სამეგრელო საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისადმი ერთგულებას?

ცოტნე დადიანის გმირობა

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ სამშობლოს არაერთი მტერი ჰყავდა. თამარ მეფის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ქვეყანას მანამდე უცნობი მტერი შემოესია. ისინი აღმოსავლეთიდან მოსული მონღოლები იყვნენ. მონღოლებმა საქართველოში მეფობა გააუქმეს და რვა ნაწილად – დუმანად დაყვეს. თითოეულს სათავეში ქართველი მმართველები ჩაუყენეს. სამეგრელოს **ცოტნე დადიანი** მართავდა. დიდებულები ქვეყნის განთავისუფლებაზე ფიქრობდნენ. საამისოდ კი სამცხეში – კოხტასთავს შეიკრიბნენ მონღოლების ბატონობისაგან თავის დასახსნელად, მათ ერთობლივად გამოსვლა და აჯანყება გადაწყვიტეს.

წყარო 1. კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე ქართველი თავადები და ცოტნე დადიანი

ქართველთა ამ გეგმის შესახებ მონღოლებმა გაიგეს და შეთქმულების ყველა მონაწილე დააკავეს. ტყვეობას შემთხვევით მხოლოდ აჯანყების ორი მონაწილე – ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე გადაურჩა. ისინი ცოტა ადრე წავიდნენ თავიანთ სამფლობელოებში, რომ აჯანყებისთვის უფრო კარგად მომზადებულიყვნენ და დანარჩენებს დროზე შეერთებოდნენ. როდესაც ცოტნე დადიანმა გაიგო თავისი მეგობრების დაკავების შესახებ, რომლებიც შიშვლები მზის გულზე ეყარნენ და დასაღუპად განწირული იყვნენ, მივიდა, ტანსაცმელი გაიხადა და მათ

გვერდით დაჯდა. ქართველი მთავრები მონღოლებს უმტკიცებდნენ, რომ ჩვენ არა აჯანყებისთვის, არამედ ხარკის აკრეფის შესახებ ვმსჯელობდითო. თავისი ნებით მისული და მეგობრების გვერდზე გაშიშვლებული ცოტნე დადიანიც იმავეს ამტკიცებდა. ამის შემდეგ მონღოლებმა ქართველ დიდებულებს დაუჯერეს და ყველა მათგანი გაანთავისუფლეს. ცოტნე დადიანის ქმედება გმირობის ტოლფასი იყო. ასე იხსნა სამეგრელოს დიდებულმა ცოტნე დადიანმა არა მხოლოდ მეგობრები, არამედ ქვეყანაც მორიგი აოხრებისგან.

საქართველოს ერთიანობის გამოხატულება

სამეგრელოს მაცხოვრებლებს, სვანეთის მკვიდრების მსგავსად, ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებული მეტყველება აქვთ. ოდესღაც ჩვენს წინაპრებს საერთო ენა ჰქონდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში ის სამ შტოდ დაიშალა. მეგრულ მეტყველებას მხოლოდ ოჯახში იყენებდნენ, სახელმწიფო დოკუმენტებს კი მხოლოდ ქართულ ენაზე ქმნიდნენ, ქართულ ენაზე ლოცულობდნენ. ქართული იყო მათი სალიტერატურო ენაც. ქართულად აკეთებდნენ წარწერებს ეკლესიებზე. სამეგრელოს სამთავროს განცალკევების დროსაც კი დადიანების კარზე ყველა საბუთი ქართულ ენაზე იქმნებოდა. მაშინ გადაწერეს „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“... სამეგრელოდან გამოსულმა მწერლებმა გაამდიდრეს ქართული ენა მეგრულში შემორჩენილი ძველი ქართული სიტყვებით. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში დაყოფისა და მის შიგნით სხვადასხვა მხარეს შორის დაპირისპირების მიზეზი ხშირად ენობრივი განსხვავება იყო.

წყარო 2. სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დაკვეთით 1646 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“

წყარო 3. არქანჯელო ლამბერტის მოსაზრება სამეგრელოში დამწერლობისა და წიგნიერების შესახებ

„ქართული წერა-კითხვა აქ სულ მოსპობილი იქნებოდა, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ასე რომ, თუ ვინმეს უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიებაროს სასწავლებლად.“

დავალება

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა ცოტნე დადიანის გმირობას საქართველოსთვის?
2. რატომ აკეთებდნენ სამეგრელოში არსებულ ეკლესიებზე წარწერებს ქართულ სალიტერატურო ენაზე?
3. რაზე მეტყველებს ლამბერტის ცნობა წიგნიერებაზე სამეგრელოში (წყარო 3)?
4. იმსჯელეთ, რა გზით გამოხატავდნენ სამეგრელოში თავიანთ ერთგულებას საქართველოსადმი?

რა ვიცი და რა შეიძლება

წყარო 1. მწყემსების ქოხი

სამეგრელოში მდინარე ხობისწყლის ხეობა აღსანიშნავია იმით, რომ მის გაყოლებაზე ბუნების არაერთი ძეგლია: მღვიმეები, ხავსიანი მასივები, მინერალური წყალი, ალპური ტბები, ჩანჩქერები, მწვერვალები და მყინვარი. ტურისტებს მწყემსების ხის ქოხები ხვდება, სადაც მათ შუაცეცხლთან გათბობა და უგემრიელესი კერძების დაგემოვნება შეუძლიათ. გზის ბოლოს კი ისინი დაინახავენ ლურჯ-ვერცხლისფრად მოლივლივე და მშვიდ ტბას. უძველესი ლეგენდის თანახმად, ვინც მყუდროებას დაარღვევს და მის წყალში იბანავებს, თავს დაატყდება შავი ღრუბლების რისხვა და კოკისპირულ წვიმასა და ძლიერ ჭექა-ქუხილს ვერ გადაუჩებაო.

1. მოამზადე ტურისტული მარშრუტი ტობავარჩხილის ტბისკენ.

- გაეცანი ინტერნეტის დახმარებით, რის ნახვა შეუძლია ტურისტს გზაზე ჩხოროწყუდან ტობავარჩხილის ტბისკენ.
- შეიტანე მარშრუტში შენთვის სასურველი ადგილები.
- მომზადე ტურისტებისთვის შესაბამისი ბუკლეტი, რომელშიც პოპულარიზაციას გაუწევ არა მარტო ბუნების ძეგლებს, არამედ ცხოვრების ჯანსაღ წესსაც.

წყარო 2. ტობავარჩხილის ტბა

* შეგიძლია იგივე გააკეთო მარტვილის კანიონში ტურისტული მარშრუტის დაგეგმვისას.

წყარო 3. მარტვილის კანიონი

2. მოაწყეთ კლასში „მეგრული სამზარეულოს დღე – კონკურსი“.

ამისთვის:

ა) მოიძიეთ ინფორმაცია მეგრული სამზარეულოს კერძებზე.

ბ) დაინაწილეთ, მასწავლებლის დახმარებით, კერძები, რომელსაც მოამზადებთ.

გ) შეიძინე, დაზოგილი თანხით, კერძისთვის აუცილებელი პროდუქტები

დ) მოამზადე კერძი.

ე) აირჩიეთ ჟიური, რომელიც თქვენს კერძს 10 ქულიანი სისტემით შეაფასებს.

ვ) შეიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები: გემო, გაფორმება.

ზ) მოამზადე პრეზენტაცია PPT-ში შენს მომზადებულ კერძზე: დაახლოებით, როდიდან არსებობს, რისგან და როგორ მზადდება, რა კავშირი აქვს სამეგრელოს გეოგრაფიულ, ბუნებრივ პირობებთან, მეურნეობის დარგებთან, ტრადიციებთან.

თ) დაამზადეთ სერტიფიკატები გამარჯვებულებისა და ყველა მონაწილისთვის და დაურიგეთ მათ. ამისთვის: შეარჩიეთ ინტერნეტში, ან თვითონ გააფორმეთ ჩარჩო, რომელშიც ჩაწერთ შესაბამის ტექსტს. მაგალითად,

ა. სულგუნის ფირფიტაში გახვეული ნადული

ბ. ღომი სულგუნით

გ. საცივი

წყარო 4. მეგრული კერძები



სერტიფიკატი

ეძლევა V კლასის მოსწავლეს _____

მასზედ, რომ მან მონაწილეობა მიიღო კონკურსში „მეგრული სამზარეულოს კერძები“ და მისმა მომზადებულმა კერძმა „----------“ ––– ადგილი დაიკავა.

ხელმოწერები _____

კარი 4. სვანეთი

ამ კარში გაიცნობ საქართველოს ულამაზეს მხარეს – სვანეთს. გაიგებ, თუ რა გავლენა აქვს მის გეოგრაფიულ მდებარეობას იქ არსებულ დასახლების ტიპსა და საცხოვრებელ სახლებზე, ტრადიციულ საქმიანობასა და გადაადგილების საშუალებებზე, სტიქიურ მოვლენებსა და ტრადიციებზე; რა ფუნქციას ასრულებდა ცნობილი სვანური კოშკები. გაეცნობი სვანეთთან დაკავშირებულ მითებსა და ლეგენდებს; მიხვდები, რატომ გახდა იგი საქართველოს განძთსაცავი და ტურისტებისთვის მიმზიდველი მხარე.






პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
კურორტი
გზები
გზატკეცილი
საზღვრები
სახელმწიფოს
ისტორიულ-გეოგრაფიული
პროვინციის
ჰიდროგრაფია
მდინარე
წყალსაცავი
მყინვარი
სხვა აღნიშვნები
სიმაღლითი ნიშნული
უღელტეხილი
ყაბარდო-ბალყარეთი
ნაკრის უღ.
3202
ბეჩოს უღ.
4012
3757
მესტიის უღ.
მ. უშბა
4700
ნენსკრა
ნაკრა
ნაკრა
ლახამულა
ფარი
ქვემო მარღი
მესტია
კურ. ჰაწვალი
3887
წანერის უღ.
მ. თეთნულდი
4858
ქოლაში
იენაში
სვიფი
ენგური
ზემო სვანეთი
ადიში
მ. შხარა
5068
ქვემო სვანეთი
ლალხორი
ზაგაროს უღ.
2623
ჩაჟაში
მ. ლაჰილი
4008
2830
ცანა
ურა
უღ. ხელედი
2565
უღ. ლატფარი
ქვემო სვანეთი
3216
ფანგა
ჩიხარეში
მ. ლუხუნისწვერი
ხელედულა
ხელედი
ლენტეხი
ცგენსწყალი
2565
უღ. ლანქორი
ხოფური
3562
მ. ჩუტკარა

4.1 სვანეთის მდებარეობა

როგორია სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობა?

საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებს უკავია. მთებში მდებარე ერთ-ერთი ასეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა სვანეთი. ის დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს.

კავკასიონის ერთ-ერთი ნაწილია სვანეთის ქედი. იგი სვანეთს გეოგრაფიულად ორ ნაწილად ყოფს – **ზემო** და **ქვემო სვანეთად**. ზემო სვანეთში მდინარე ენგური მიედინება, ხოლო ქვემო სვანეთი მდინარე ცხენისწყლის ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს. ზემო სვანეთში კლიმატი შედარებით მკაცრია და ზამთარიც უფრო დიდხანს გრძელდება. ქვემო სვანეთში ჰავა შედარებით რბილია. აქ ბოსტნეულის მოყვანა და ხეხილის გახარება შეიძლება.

წყარო 1. მდინარე ენგური და ზუგდიდი-მესტიის გზა

დავალება

1. მოძებნე რუკაზე (გვ. 26-27) და დაასახელე სვანეთში მდებარე მწვერვალები.
2. როგორ ფიქრობ, რატომ განსხვავდება ზემო სვანეთის ჰავა ქვემო სვანეთის ჰავისგან.
3. მოიძიე, სვანეთის რომელ ნაწილში მდებარეობს თეთნულდის სათხილამურო კურორტი.
4. გაარკვიე, სვანეთის რუკის დახმარებით (გვ. 26-27), რომელი უღელტეხილების საშუალებით შეგიძლია ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთში გადასვლა?

დავალება

5. დაადგინე, შესაძლებელია თუ არა ზემო სვანეთიდან ისე იმოგზაურო ქვემო სვანეთში, სხვა ეთნოგრაფიულ მხარეებში რომ არ მოხვდე?
6. დაასახელე, რუკის (გვ. 26-27) დახმარებით, სვანეთის მეზობელი საქართველოს მხარეები.
7. რომელი ქვეყანა ესაზღვრება სვანეთს ჩრდილოეთიდან (რუკა, გვ. 26-27).

მესტია საუკუნეების განმავლობაში სვანეთის ცენტრი იყო. იქ დღემდე ყველაზე ბევრი კოშკია შემონახული. მესტია ზემო სვანეთის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია.

წყარო 2. მესტია

წყარო 3. იუნესკომ უშგულის თემის სოფელი ჩაჟაში მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შეიტანა. ამიტომ მას საგანგებო კანონი იცავს.

წყარო 4. ტურისტები სვანეთში

დავალება

8. მოამზადე ტურისტებისთვის ინფორმაცია უშგულზე. გამოიყენე ინფორმაციის ნებისმიერი წყარო.

4.2 დასახლების ტიპი და საცხოვრებელი სახლი სვანეთში

როგორი დასახლების ტიპები და სახლები იყო სვანეთში?

ლექსიკონი

ლანდშაფტი – გერმანული სიტყვაა. რაიმე ადგილის საერთო ხედი

ბაგა – დაბმული საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი სათავსი

კერა – სახლის ცენტრში ცეცხლის დასანთები ადგილი, სადაც ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ.

სვანეთში წარსულში 140-ზე მეტი სოფელი იყო, თუმცა, დროთა განმავლობაში, ბევრი მათგანი ნასოფლარად იქცა. დღეს ადამიანები გაფანტულად, ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობენ. წარსულში კი, სვანური სოფლები მჭიდროდ იყო დასახლებული. მთის ლანდშაფტზე, მიწის ფართობის სიმცირის გამო, დიდი დასახლებების შექმნა შეუძლებელი იყო. სვანეთში ძველადაც და ახლაც სოფლებში კოშკები დგას. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში სოფელ უშგულში ასამდე ქვითკირის სახლი და 60-მდე კოშკი იდგა. კოშკები ჩვეულებრივ ქვითკირის საცხოვრებელ სახლებზე იყო მიდგმული. მტრის შემოსევის შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობა კოშკებს აფარებდა თავს. კოშკი ყველა გვარს ჰქონდა, ზოგიერთ გვარს – რამდენიმეც. კოშკების უმრავლესობა, 1876 წლის სვანეთის აჯანყებისას განადგურდა. ამბოხებული სვანები მტერს კოშკებიდან უწევდნენ წინააღმდეგობას და დიდი ზიანიც მიაყენეს. სხვა დროს აჯანყება რომ აღარ განმეორებულიყო, მტერმა ბევრი კოშკი დაანგრია და მოსახლეობა თავშესაფრის გარეშე დატოვა.

წყარო 1. უშგული

3 სვანური სახლი

სვანები საცხოვრებელ სახლს „ქორს“ უწოდებდნენ, რაც უძველესი ქართული სიტყვაა. როცა მტერი არ აწუხებდათ, მოსახლეობა ამ სახლებში ცხოვრობდა, ომის და შემოსევების შემთხვევაში კი პირუტყვთან ერთად კოშკებს აფარებდა თავს. „ქორ“-ის პირველ სართულს ეწოდება „მაჩუბი“, მეორე სართულს „დარბაზი“. მაჩუბში მხოლოდ ზამთარში ცხოვრობდნენ, ზაფხულობით კი მეორე სართულზე, დარბაზში.

წყარო 2. მაჩუბი. მაჩუბის ცენტრში კერა იყო მოწყობილი, კერის თავში მხოლოდ ოჯახის უფროსს შეეძლო დაჯდომა. კერასთან ოჯახის ყველა წევრს თავისი ადგილი ჰქონდა. კერაზე ჩამოკიდებული იყო რკინის ჯაჭვი, მასზე ქვაბი ეკიდა და საკვები მზადდებოდა. მაჩუბის ერთი კუთხე ხის სქელი კედლით იყო გამოყოფილი, სადაც ბაგა იყო მოწყობილი. იქ მსხვილფეხა საქონლის სადგომი იყო. მათ თავზე კი ცხვრები და თხები იყვნენ.



წყარო 3. სვანური სახლი („ქორ“) და კოშკი („მურყვამ“)

დავალება

1. აღწერე, წყაროების 2 და 3-ის მიხედვით, სვანური საცხოვრებლის ინტერიერი. რამდენი სართულისგან შედგება იგი? რა მიზნით იყო გამოყენებული თითოეული მათგანი?
2. შენი აზრით, რატომ აშენებდნენ წარსულში სვანები კოშკებს და დღეს რატომ აღარ აშენებენ?
3. როგორ ფიქრობ, რატომ ჰყავდათ პირუტყვი შეყვანილი მაჩუბში (წყარო 2).

4.3 მთაში გადაადგილების საშუალებები და საფრთხეები

რა გავლენა აქვს სვანეთის ბუნებრივ პირობებს გადაადგილების საშუალებებზე?

სვანეთის უმეტესი ნაწილი მაღალ მთებშია მოქცეული. ამის გამო, წარსულში სოფლები ერთმანეთს საფეხმავლო ბილიკებით და უღელტეხილებით უკავშირდებოდა. თავდაპირველად, სვანეთის მოსახლეობა საქართველოს სხვა მხარეებში მოსახვედრად მდინარე ენგურის სათავიდან გადადიოდა ცხენისწყლის ხეობის სათავეში, იქიდან კი მდინარე რიონის ხეობაში. უკანაც იგივე გზით ბრუნდებოდა.

წყარო 1. კადრი ფილმიდან „ჯიმ შვანთე“ (ანუ მარილი სვანეთს), 1930 წელი. სვანების ერთ-ერთი პრობლემა მარილის ნაკლებობა იყო. მის შესაძენად მოსახლეობა ბარში ჩადიოდა, მაგრამ უგზოობის გამო ბევრი იღუპებოდა.

პირველი საავტომობილო გზა, რომლითაც სამეგრელო სვანეთს დაუკავშირდა, 1934 წელს გაიყვანეს. დღეს მხოლოდ **ზაგაროს უღელტეხილის** მეშვეობით შეიძლება ზემო და ქვემო სვანეთს შორის ავტოტრანსპორტით გადაადგილება. თუმცა, ამინდის გამო, ეს გადასასვლელი წელიწადში სულ სამი-ოთხი თვით იხსნება.

წყარო 2. ზაგაროს უღელტეხილი

გადაადგილების კიდევ ერთი საშუალებაა თვითმფრინავი. მესტიაში რამდენიმე ათწლეულია ფუნქციონირებს მცირე ზომის აეროპორტი. მისი მეშვეობით დღეს მგზავრობა გამარტივებულია.

წყარო 3. მესტიის აეროპორტი

დიდი თოვლის დროს, სვანები სოფლებში სასიარულო თხილამურით გადაადგილდებოდნენ, ტვირთის გადასაზიდად კი მარხილს იყენებდნენ, რომელშიც ხარებს აბამდნენ. ახალი ტექნოლოგიების მიუხედავად, მთაში დღემდე არის ისეთი მიუვალი ადგილები, სადაც კვლავ მარხილს იყენებენ (მაგალითად, თივის ან შეშის გადასატანად).

წყარო 4. თოვლზე სასიარულო „თხილმარი“

წყარო 5. თანამედროვე სასრიალო თხილამური

დავალება

1. რას გაგონებს მესტიის აეროპორტის შენობა (წყარო 3)?
2. შენი აზრით, დღეს რა დანიშნულება აქვს კოშკს.
3. რა დანიშნულება აქვს ძველ და ახალ თხილამურს (წყაროები 4-5) ?

დავალება

4. რატომ იყენებენ სვანეთის ზოგიერთ ადგილას მარხილს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გადაადგილების თანამედროვე საშუალებები?
5. შეადარე გადაადგილების საშუალებები წარსულში და დღეს. ახსენი თითოეული მათგანის უპირატესობა. ჩამოწერე რვეულში ცხრილის სახით.

წყარო 6. მარხილი

წყარო 7. თანამედროვე თოვლმავალი

მთაში გადაადგილება ხშირად უფრო სახიფათოა, ვიდრე ბარში. მთაში შეიძლება მოულოდნელად ზვავი ჩამოწვეს და მგზავრები თოვლმა დაფაროს, ან ციცაბო ფერდობიდან ქვა დაგორდეს და ადამიანები და შინაური ცხოველები დააზიანოს. ამიტომ რთულ პირობებში მოგზაურობისას, საფრთხის შემთხვევაში, დახმარებას ითხოვენ.

წყარო 8. მოთხილამურე პატრული

წყარო 9. მაშველებმა სვანეთში ტურისტები გადაარჩინეს

წარსულში ადამიანები დასახმარებლად ერთმანეთს მიმართავდნენ, ხშირად დღესაც ასე იქცევიან. თუმცა, თუ პრობლემა რთულია, დახმარებას სახელმწიფოს სთხოვენ. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, სვანეთში ასეთი შემთხვევები შედარებით ხშირია.

გადაუდებელი დახმარების სამსახური

საქართველოსა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს გადაუდებელი დახმარების ცენტრი. მაშინ, როდესაც საფრთხეში აღმოვჩნდებით, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, შეგვიძლია დავრეკოთ ტელეფონის ნომერზე 112 და გამოვიძახოთ დახმარება. დახმარების გამოძახების დროს ოპერატორს უნდა ვუთხრათ, სად ვიმყოფებით და რა პრობლემა შეგვექმნა. გადაუდებელი დახმარების სამსახური 24 საათიან რეჟიმში მუშაობს. უმიზეზოდ დახმარების გამოძახება კანონით ისჯება.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 2017 წლის ზაფხულში, ტყეში რამდენიმე ათეული ძლიერი ხანძარი გაჩნდა. მათი ჩაქრობა იმდენად რთული იყო, რომ მეხანძრეებსა და მაშველებს ადგილობრივი მოსახლეობაც ეხმარებოდა. ერთობლივი ძალისხმევით, ყველა ხანძრის ჩაქრობა მოხერხდა.

გამოძახება ხშირია დაშავებული ალპინისტების გადასარჩენადაც.

წყარო 10. გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის შენობა თბილისში

დავალება

12. გადაუდებელი დახმარების სამსახურის თანამშრომლები, ხშირად, საკუთარი სიცოცხლის ფასად ეხმარებიან ადამიანებს და ამისთვის დაფასებას იმსახურებენ. თანაკლასელებთან ერთად, დაწერე მადლობის წერილი და გაუგზავნე მათ.

დავალება

6. როგორ ფიქრობ, რატომ არის საგანგებო შემთხვევები შედარებით ხშირი სვანეთში.
7. შენი აზრით, რა შემთხვევების გამო შეიძლება გამოიძახონ სამაშველო სამსახური სვანეთში. პასუხის გასაცემად გაიხსენე, რა საფრთხეები არსებობს იქ.
8. რა ტექნიკის გამოყენება უწევთ მთაში მომუშავე მაშველებს (წყარო 9)?
9. ვინ იცავს სამთო-სათხილამურო კურორტებზე ტურისტთა უსაფრთხოებას (წყარო 8)?
10. ახსენი, რატომ უნდა დაისაჯოს კანონით ცრუ გამოძახება.
11. ჩაატარე გამოკითხვა ოჯახის წევრებს შორის, ოდესმე გამოუძახიათ თუ არა საგანგებო დახმარების სამსახური და რა მიზეზით მიმართეს მას?

4.4 სტიქიური მოვლენები სვანეთში

რა იყო და არის მთავარი სტიქიური უბედურება სვანეთში?

XX საუკუნის მეორე ნახევარში სვანეთში რამდენიმე სტიქიური უბედურება მოხდა – ზვავმა და მეწყერმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. რამდენიმე სოფელი მოსახლეობისგან დაიცალა. სვანეთში მსგავსი სტიქიური უბედურება გასულ საუკუნეებში ბევრად ნაკლებად ხდებოდა. სოფლებში ნგრევა და მსხვერპლი იშვიათი იყო. დღეს გახშირებული ზვავისა და მეწყერის მთავარი მიზეზი ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომებია. მათ დაივიწყეს ტრადიციები, ცოდნა, რომელიც წინაპრებისგან ჰქონდათ გადმოცემული: სახლი იქ ააშენეს, სადაც მეწყერსაშიში და ზვავსაშიში ადგილია. ადამიანებმა ხე-ტყე იქ მოჭრეს, სადაც მათი მოჭრა არ შეიძლებოდა.

წყარი 1. სვანური კოშკი ზვავის პირისპირ

სვანური კოშკი ზვავის პირისპირ

კოშკი ისე არის აგებული, რომ ქვითკირის სახლებს ზვავისგან იცავს. მთიდან დაშვებულ თოვლის ზვავს მყარად აგებული კოშკი ისხლეტდა, მისი კუთხე კი ზვავს ორ ნაწილად ყოფდა და საცხოვრებელ სახლს იცავდა. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ამას არა მხოლოდ მტკიცე ქვითკირი განაპირობებდა, არამედ მისი ნიადაგში ღრმად ჩაჭრილი კვერცხისებური საძირკველიც.



წყარო 2. ჩამოწოლილი ზვავისგან გზის გაწმენდა

დავალება

1. გაიხსენე ბუნების სახელმძღვანელოდან, რა დანიშნულება აქვს ტყეს?
2. რა სტიქიური უბედურება შეიძლება დაემუქროს სვანეთს?
3. მოიძიე გაკვეთილის ტექსტში ინფორმაცია წინაპრების გამოცდილებაზე. რა საშუალებით იცავდნენ ისინი თავს ზვავისაგან?

წინა საუკუნეში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა აიძულა სვანეთის მოსახლეობის ნაწილი მშობლიური ადგილი მიეტოვებინა და საცხოვრებლად ბარში გადასულიყო. ასეთ მოსახლეობას **ეკომიგრანტები** ეწოდებათ. გადასახლებაში მათ სახელმწიფო დაეხმარა. ეკომიგრანტებზე ზრუნვა მისი მოვალეობაა. მთიდან წამოსვლის მიუხედავად, სვანებმა თავიანთი ტრადიციები ბარშიც შეინარჩუნეს.

წყარო 3. დმანისში ჩასახლებული სვანები ლამპრობის დღესასწაულს აღნიშნავენ

წყარო 4. ლამპრობის დღესასწაული

ლამპრებს სვანები გაზაფხულის დადგომისას თავიანთი მიცვალებულებისთვის ანთებდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ამ გზით გარდაცვლილი წინაპრები სახლებს ათბობდნენ. დღესასწაულზე მთავარი ლამპარია, რომელსაც სვანები ხის ტოტებისგან აკეთებენ.

დავალება

4. შენი აზრით, რატომ უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.
5. რომელ მხარეში ცხოვრობენ სვანეთიდან გადასახლებული ეკომიგრანტები?
6. გაიხსენე, საქართველოს კიდევ რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს აქვს ეკომიგრანტების პრობლემა. შეადარე ამ პრობლემის მიზეზები.

4.5 სვანური მითები და ნადირობის ტრადიცია

რა მითები და ნადირობის ტრადიცია არის გავრცელებული სვანეთში?

მთამ, ბართან შედარებით, უფრო მეტად შემოინახა ძველი ტრადიციები, ლეგენდები და გადმოცემები. მთის მოსახლეობის ცხოვრების წესს ხშირად ეს ტრადიციები და ლეგენდები განსაზღვრავდა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სვანეთში დღემდე ახსოვთ, როგორ იბრძოდნენ მათი შორეული წინაპრები შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ან როგორ უმკლავდებოდნენ სტიქიის შემოტევებს. მონადირეობა აქ ერთ-ერთი გავრცელებული საქმიანობა იყო. სწორედ მასთან არის დაკავშირებული **მითები დალის შესახებ**.

დალი ნადირობის ქალღმერთი იყო. აღწერილობის მიხედვით, ოქროსთმიანი დალი მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა. სვანების რწმენით, დალის შეეძლო ნადირის (ჯიხვი, არჩვი, ირემი) გამრავლება და მფარველობა, დახოცილი ნადირის გაცოცხლება, ტრადიციების ერთგული მონადირისთვის ხელშეწყობა და ნადირობის დადგენილი წესების დამრღვევებისთვის ზიანის მიყენება და დაღუპვაც კი. სვანეთში ყველაზე ხშირად ჯიხვებზე ნადირობენ. ჯიხვი ძალიან ფრთხილი და სწრაფი ცხოველია. მას გამორჩეული მხედველობა და სმენა აქვს. იგი მიუვალ კლდეებში ცხოვრობს და მისი მონადირება ძალიან ძნელია. სწორედ ამიტომ ჯიხვებზე ნადირობა დიდ ვაჟკაცობასა და გამბედაობას მოითხოვს.

წყარო 1. ჯიხვი სვანეთის მთებში

წყარი 2. თეთნულდი

ნადირობას ადამიანი ჯერ კიდევ მაშინ მიჰყვებოდა, სანამ ცხოველებს მოიშინაურებდა და მიწის დამუშავებას ისწავლიდა. წარსულში ნადირობა საკვების მოპოვების მთავარი საშუალება იყო. მას შემდეგ კი, რაც ადამიანმა საკვების წარმოება თვითონ დაიწყო, ნადირობამ თავისი ძველი დანიშნულება დაკარგა. დღეისათვის ადამიანები უმეტესად სპორტული ჟინის

დასაკმაყოფილებლად ნადირობენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ბევრ ცხოველს დახოცავს. ამისთვის ხელოვნური სანადირო ადგილებიც კი შექმნეს. სახელმწიფო ნადირობას სათანადო ყურადღებას აქცევს და მასთან დაკავშირებით სპეციალურ კანონებს გამოსცემს. წელიწადის განმავლობაში დადგენილია ის პერიოდები, თუ როდის შეიძლება ნადირობა და როდის არა. ასევე სახელმწიფო კრძალავს ზოგიერთ ფრინველსა და ცხოველზე ნადირობას, რადგან ბუნებაში მათი რაოდენობა ძალიან შემცირებულია და ისინი **წითელ წიგნშია** შეტანილი.

წყარი 3. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი არჩვი

ლექსიკონი

წითელი წიგნი – იშვიათი და გადაშენების პირას მისულ მცენარეთა და ცხოველთა სია, მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათებით.

მითი თეთნულდზე

წარსულში, როდესაც ადამიანებმა არ იცოდნენ, რა განაპირობებდა ამინდის ცვლილებას, ყველაფერს განსხვავებულად, თავიანთი შეხედულებით და ბუნებაზე დაკვირვებით ხსნიდნენ. თეთნულდის მთა დღის უმეტეს პერიოდში ნისლით არის დაფარული და მისი მწვერვალი თითქმის არ ჩანს. ამ ფაქტის გამო, სვანეთში ხალხური გადმოცემა გავრცელდა: „უშბას ძლიერ უყვარს თეთნულდი, თეთნულდი მორცხვია, ემალება უშბას, პირს არიდებს, ამიტომაც ახვევია მას ასე ხშირად ნისლი, ნისლი მისი პირსაბურავიაო.“



წყარო 4. რისთვის იყენებდნენ ნანადირევ ჯიხვს

დავალება

1. რატომ არ ნადირობენ დღეს საკვების მოსაპოვებლად?
2. გაიხსენე, რატომ არის დადგენილი ნადირობისთვის სპეციალური დრო და რა წესების დაცვა ევალებოდა მონადირეს.
3. იმსჯელე, უნდა აიკრძალოს თუ არა ნადირობა საქართველოში? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
4. საქართველოში გარეული ცხოველების დაცვის რამდენიმე ორგანიზაცია არსებობს, თუმცა, მათ შესახებ საზოგადოებაში მცირე ინფორმაციაა. დაეხმარე ამ ორგანიზაციებს პოპულარიზაციაში. ასე შენ ცხოველების გადარჩენას შეძლებ. შექმენი ბუკლეტი ან წამოიწყე საზოგადოებრივი მოძრაობა, ან მოიფიქრე რამე სხვა აქტივობა.

4.6 მეურნეობის დარგები სვანეთში

რა იცვლება და რა არა სვანების ტრადიციულ საქმიანობაში?

წინათ ცხოვრების განმსაზღვრელი ტრადიციები იყო. ქართველები დადგენილ და წინაპრებისაგან გადმოცემულ წეს-ჩვეულებებს იშვიათად ღალატობდნენ. მიუხედავად ამისა, დროდადრო, ცხოვრების წესის ცვლილების გამო, ტრადიციებიც იცვლება და ცვლილებებთან ერთად ბევრი წეს-ჩვეულება დავიწყებას ეძლევა. მათ ნაცვლად, ახალი ტრადიციები ყალიბდება.

სვანების ტრადიციები განსაკუთრებით მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამეურნეო საქმიანობაში ვლინდება. ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სვანეთშიც მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება იყო. ძველად აქ ქერი, ჭვავი და ფეტვი მოჰყავდათ, ახლა კი ამ კულტურებს უკვე დიდი ხანია კარტოფილი ჩაენაცვლა. სვანეთში მოწეულ კარტოფილს მოწითალო ფერი დაჰკრავს და ძალიან გემრიელია. სვანეთში მესაქონლეობა მიწათმოქმედების ერთ-ერთი დამხმარე დარგი იყო. მესაქონლეობის განვითარების გარეშე სვანეთში მიწას ვერც დაამუშავებდნენ (რადგან ხის სახვნელს ხარები ეწეოდნენ) და ვერც გაანაყოფიერებდნენ.

სვანეთში ორიგინალური თავსაბურავი, ე.წ. **სვანური ქუდი** აქვთ. მას ზემოდან ზონრები აქვს გადაჭიმული, რაც ჯვრის გამოსახულებას ქმნის. ის მთელ საქართველოში ძალიან პოპულარულია. ქუდებსა და ნაბდებს სვანები ცხვრის მატყლისგან ამზადებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ მეცხვარეობასაც მისდევდნენ. მაგრამ სვანური ქუდები ძველად ოდნავ განსხვავებული იყო. მასზე მიკერებული ფარფლები მამაკაცს ყურებს უფარავდა.

✓ დავალება

1. მოიძიე ინფორმაცია, როდის და როგორ გავრცელდა კარტოფილი საქართველოში. გააცანი თანატოლებს, რა ადგილობერივ კერძს ამზადებენ სვანები მისგან.

წყარო 1. თანამედროვე სვანური ქუდის დამზადება

წყარი 2. ფოტოზე მარჯვნივ ძველი სვანური ქუდი

სვანური ქუდი როგორც ფარი

სვანური ქუდი იმდენად გამძლე და სქელია, რომ რამდენჯერმე თუ გადავკეცავთ, ძლიერად მოქნეული ხანჯლის შეკავებაც შეუძლია. წარსულში სვანი მეომრები მას ხშირად ფარის ნაცვლად ხმარობდნენ, როდესაც ფარი გაუტყდებოდათ ან მოულოდნელად მოწინააღმდეგის მოგერიება უხდებოდათ.

ჯერ კიდევ არგონავტებმა იცოდნენ, რომ იმდროინდელი ქართველები ოქროს მაძიებელნი და კარგი ოქრომჭედლები იყვნენ. ოქროს მოპოვების ტრადიცია კი ბოლო დრომდე მაშინდელი კოლხეთის სამეფოს ერთმა ნაწილმა – სვანეთმა შემოინახა.

წყარო 3. მდინარიდან ოქროს მოპოვება ცხვრის ტყავის მეშვეობით

დავალება

2. გაიხსენე მითი არგონავტების შესახებ და ინფორმაცია ოქროს საწმისის შესახებ. შენი აზრით, ოქროს საწმისზე არსებული რომელი ცნობა არის უფრო სარწმუნო: ის, რომელიც ბერძნულ წყაროებშია, თუ ის, რომელსაც ამ გაკვეთილში გაეცანი. პასუხი დაასაბუთე.
3. გაიხსენე, წყარო 3-ის დახმარებით, როგორ მოიპოვებდნენ სვანები ოქროს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში სვანეთის მკვიდრი მამაკაცები „გარე სამუშაოზე“ მთელ საქართველოში დადიოდნენ. ისინი გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულის დადგომამდე რამდენიმე თვეს ბარის სოფლებში ატარებდნენ, სადაც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. უკან დაბრუნებულებს კი მოჰქონდათ ის, რაც მთაში არ იყო (მარილი, ღვინო და სხვა). ეს მოვლენა ხელს უწყობდა ქართული ენის გავრცელებას, საერთო ქართულ კულტურულ სივრცეში სვანების ჩართვას, რადგან მათ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული მეტყველება ჰქონდათ.

აღმოსავლეთ საქართველოში გარესამუშაოებზე სიარულის დროს, სვანები ენგურის ხეობისა და ცხენისწყლის ხეობის სათავიდან რიონის ხეობის სათავეში, რაჭის გავლით, ქართლში გადადიოდნენ და გაზაფხულზე იგივე გზით უკან ბრუნდებოდნენ. სვანებს გარესამუშაოებზე სიარული ჯერაც

დავალება

4. როგორ ფიქრობ, რატომ არ ეშინიათ სვან მუშებს მაღალსართულიან სახლებში მუშაობა.
5. გაიხსენეთ განვლილი გაკვეთილები და იმსჯელეთ, რა შეიცვალა და რა არა სვანების ტრადიციულ საქმიანობაში.
6. როგორ ფიქრობ, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, სვანეთში მეურნეობის რომელი დარგების განვითარება არის შესაძლებელი.

წყარო 4. ალპინისტები

არ შეუწყვეტიათ. დღეს თბილისში სვანეთის მთებიდან ჩასული მშენებლების ჯგუფები მაღალსართულიანი შენობების ფასადებს ღებავენ. ამ საშიშ საქმეს მათზე უკეთ და უშიშრად ვერავინ ასრულებს. სვანები ასევე მაშველებად და მეკლდეურებად მუშაობენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

სვანეთის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ალპინიზმის და მასთან დაკავშირებული სამთო ტურიზმის განვითარებას. დღეს სვანეთი როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრია. ამ სფეროს განვითარებამ ბიძგი მისცა მხარის ეკონომიკურ წინსვლას. შეიქმნა არაერთი საოჯახო სასტუმრო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზარდა. პროფესიონალი თუ მოყვარული მთასვლელები სვანეთის მთებს ლაშქრავენ. ამაში მათ სვანი მეგზურები ეხმარებიან.

„კლდის ვეფხვი“

მიხეილ ხერგიანი მსოფლიოში ცნობილი ალპინისტია. ინგლისში კლდეზე ცოცვაში ერთ-ერთ შეჯიბრებას ინგლისის დედოფალი დაესწრო. როდესაც მცოცავები შეამჩნია, თქვა: „ერთს ვიცნობ, ჩვენია, მაგრამ ვინ არის ის, მეორე, კლდის ვეფხვივით რომ დაცოცავს?“ ამის შემდეგ მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს. მან მსოფლიოს მრავალი მწვერვალი დაიპყრო და ბევრი მედალი დაიმსახურა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა ის, რომ მრავალი ალპინისტის სიცოცხლე გადაარჩინა. მესტიაში მისი სახლ-მუზეუმია, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი ადამიანი სტუმრობს.

4.7 სვანეთი – საქართველოს განძთსაცავი

რატომ გახდა სვანეთი საქართველოს განძთსაცავი?

სვანეთი გეოგრაფიულად საქართველოს ცენტრიდან დაშორებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. მიუხედავად ამისა, ის დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტილი არასდროს ყოფილა. სვანები ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყნის თავდადებულ დამცველებს წარმოადგენდნენ. მათ ხშირად მეფის მოლაშქრეებად მოიხსენიებენ. ამ დამსახურების გამო, საქართველოს მეფეები სვანეთის ეკლესიებს ხშირად ხატებს, ძვირფასეულობას სწირავდნენ. სვანები სალოცავებში აღვლენილი ლოცვების დროს ჯერ ერთიანი საქართველოს, აგრეთვე, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოს – **ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის** ლოცვას წარმოთქვამდნენ, შემდეგ საერთო სვანეთისას და მხოლოდ ბოლოს იმ სოფლისას, სადაც ლოცულობდნენ.

წყარო 1. ზარი, რომელიც 1600 წელს ლატალის თემის ეკლესიას კახეთის მეფე ალექსანდრემ შესწირა

სვანეთს საქართველოს ისტორიაში ქვეყნის განძთსაცავის ფუნქცია ჰქონდა. ბარში შეჭრილი მტრისგან რომ დაეცვათ, საეკლესიო ნივთებს, ხატებს და უძველეს ქართულ ხელნაწერებს სვანეთის ეკლესიებში ინახავდნენ. ასე აღმოჩნდა სვანეთში მტრისგან წართმეული ტაო-კლარჯეთიდან ქართული კულტურის ბევრი ნიმუში, რომელთაგანაც უძველესია ხელნაწერი – 897 წელს გადაწერილი ოთხთავი, რომელიც სოფელ ადიშში ინახებოდა.



წყარო 2. ადიშის ოთხთავი

✓ დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ აჩუქა კახეთის მეფემ ზარი სვანეთში მდებარე ეკლესიას?

დავალება

2. როგორ ფიქრობ, რატომ გახდა სვანეთი საქართველოს განძთსაცავი?

სვანეთში იმდენად დიდი რაოდენობით იყო დაცული როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა ისტორიულ ეთნოგრაფიული მხარეებიდან შეტანილი ქართული კულტურის ძეგლები, რომ მას ქართული კულტურის სავანესაც უწოდებენ.

ძვირფასეულობისა და ხელნაწერების დიდი რაოდენობა, ეკლესიების გარდა, სვანურ ოჯახებში ინახებოდა და დღემდეა დაცული. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და ოჯახური პრობლემებისა, მათ არასდროს უფიქრიათ განძის გაყიდვაზე და ამგვარად გამდიდრებაზე. საუკუნეების განმავლობაში შენახული საგანძური ბევრმა ოჯახმა მესტიის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა და ეს ნივთები საჯაროდ გამოიფინა.

სვანეთში ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა და იქ თითოეულ სოფელში რამდენიმე ეკლესიაც კი იდგა. ეკლესიების უმეტესობა ულამაზესი ფრესკებითა და ძველი ქართული წარწერებით არის დამშვენებული. სვანეთში 200-ზე მეტი კოხტა და ლამაზი ეკლესიაა. ის საქართველოს ერთადერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, სადაც ეკლესიის გარეთა კედლებიც მოხატულია.

წყარო 3. დემეტრე პირველის მეფედ კურთხევის სცენა მაცხვარიშის ეკლესიაში

წყარო 4. ადიშის ეკლესია

წყარო 5. ლენჯერის ეკლესია და მისი გარეთა კედლის მოხატულობა

წყარო 6. სვანეთის მუზეუმი (მესტია) და სამუზეუმო ექსპონატები

დავალება

3. შენი აზრით, სად უნდა ინახებოდეს საუკუნეების წინანდელი განძი, რომელიც ამ დრომდე სვანეთში სხვადასხვა ოჯახშია დაცული, მუზეუმში თუ ისევ იმ ოჯახებში? პასუხი დაასაბუთე.
4. განვლილი გაკვეთილების საფუძველზე შეადგინე შენი პირადი მარშრუტი, სადაც ჩამოწერ ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის რომელ ძეგლებსა და ექსპონატებს მოინახულებდი მეგობრებთან ერთად.

რა ვიცი და რა შემიძლია

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა, ძირითადად, ჰიდროელექტროსადგურების (ჰესის) მეშვეობით გამოიმუშავებს. ჰესი შემდეგი პრინციპით მუშაობს: მდინარეს აგუბებენ წყალსაცავი კაშხლის მეშვეობით, შემდეგ სპეციალურ გვირაბში უშვებენ, რომ მაღალი წნევის დაწოლის გამო წყალი გვირაბში სწრაფად მიედინებოდეს. დიდი სიჩქარით მოძრავი წყლის ჭავლი ატრიალებს სპეციალურ დანადგარს, გენერატორს, რომელიც ბრუნვის დროს ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. გამომუშავებული ელექტროენერგია სადენების მეშვეობით საქართველოში სხვადასხვა ქალაქსა და სოფელს გადაეცემა.

წყარო 1. ენგურჰესი – თაღოვანი კაშხალი

როგორც განვლილი გაკვეთილებიდან შეიტყვე, სვანეთში ბევრი ხეობა და მდინარეა. საქართველოში ყველაზე დიდი ჰესის ნაწილი – წყალსაცავი სწორედ სვანეთის და სამეგრელოს ტერიტორიაზე, მდინარე ენგურზე მდებარეობს. თვითონ კაშხალი სამეგრელოს, ხოლო სამართავი პულტი აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ენგურჰესის კაშხლის სიმაღლე 271 მეტრს აღწევს. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

წყარო 2. ალტერნატიული ელსადგურები

საქართველოში ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა. ჰესები უარყოფითად მოქმედებს გარემოზე. მათ ასაშენებლად საჭიროა დიდი ტერიტორიების დატბორვა. მხოლოდ ენგურჰესის მშენებლობის დროს, მდინარე ენგური 27 კილომეტრის სიგრძეზე დაიტბორა, რამაც გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თუ გინდა მომავალში გარემოს ნაკლები ზიანი მიადგეს, საჭიროა ელექტროენერგიის გონივრულად ხარჯვა.

- მოიფიქრე, ოჯახის წევრებთან ერთად, როგორ შეგიძლია ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება შენს საცხოვრებელ სახლში?
- შეადარე შენი ოჯახის მიერ გატარებული ზომები თანაკლასელის ოჯახში მიღებულ ზომებს.
- მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით, როგორ ზოგავენ ელექტროენერგიას სხვა ქვეყნებში?
- ჩაატარე, ჰესის მუშაობის პრინციპის დასადგენად, შემდეგი ცდა: სასმელი წყლის ბოთლი აავსე სითხით, ამოატრიალე თავსახურით მიწისკენ და ნელა დაატრიალე თავსახური. შეადარე როგორი ძალით წამოვა წყალი ბოთლიდან, როდესაც თავსახური სანახევროდ არის მოშვებული და როდესაც მთლიანად მოხსნი.
- მოიფიქრე და შექმენი პლაკატი, სადაც საზოგადოებას წყლის ხარჯვის ეკონომიისაკენ მოუწოდებ.
- მოიძიეთ ინფორმაცია ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესახებ. დაწერეთ ერთობლივი წერილი მუნიციპალიტეტის სახელზე, სადაც შესთავაზებთ თქვენი მხარისთვის ენერგიის ყველაზე პერსპექტიულ, ალტერნატიულ წყაროს.

კარი 5. აჭარა

ამ კარში შეისწავლი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – აჭარას, მის მდებარეობას, ბუნებასა და ღირსშესანიშნაობებს. გაიგებ, თუ მეურნეობის რა ტრადიციული დარგებია იქ განვითარებული და რატომ; რომელი სტიქიური მოვლენაა ყველაზე ხშირი აჭარაში, რა იწვევს მას და რა შედეგები მოსდევს; რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპებს და როგორია ისინი; რას მოგვითხრობს აჭარის მატერიალური და არამატერიალური კულტურა; რატომ გავრცელდა იქ ისლამი. მოახერხებ ტურისტებისთვის აჭარაში საინტერესო მარშრუტების შეთავაზებას.



ქუქათი
ჭახათი
ჯინტრიში
ხინო
ჯინტრიშის ნაკრძალი
2234
მ. პერანგა
2598
მ. ხინო
ნაღვარევი
2676
მ. ზოტისმთა
ქვაბლიანი
მ. ჭანჭახი
2506
მწვანე ტბა
2025
გოდერძის ულ.
ვანი
ხულო
ზუახევი
ზვარე
დანდალო
ქედა
ჩაო
ლომანაური
2371
მ. კორდა
მ. მაღალმთა
2512
ხიხაძირი
ჯინალი
2376
მ. რკინისკარი
2992
მ. კენჭაული
კურ.ბეშუმი

5.1 აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა და ღირსშესანიშნაობები

რა კავშირი აქვს აჭარის მდებარეობას მის ბუნებრივ პირობებთან და ღირსშესანიშნაობებთან?

აჭარა საქართველოს ზღვისპირეთში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. თუმცა, მისი ძირითადი ნაწილი მთებს უკავია. აჭარის მთავარი ქალაქია **ბათუმი**.

აჭარა სამი მხრიდან მოქცეულია არსიანის, შავშეთისა და აჭარა-გურიის ქედებს შორის. მას სამხრეთით თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო ესაზღვრება. წარსულში ამ ტერიტორიაზე საქართველოს ისტორიული მხარეები **შავშეთი** და **კლარჯეთი** მდებარეობდა.

თავისი მდებარეობიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ის ცნობილია, ძირითადად, ზღვისპირა კურორტებით. უკანასკნელ წლებში აჭარაში ზამთრის მთის კურორტებიც – გოდერძი და გომარდული გაიხსნა. ახალი კურორტების გახსნამ იგი დამსვენებლებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ვინაიდან ამ რეგიონის შემოსავლის მთავარი წყარო ტურიზმია.

წყარო 1. აჭარის ზღვისპირა სანაპირო, ქობულეთი

დავალება

1. ჩამოთვალე, რუკის დახმარებით (გვ. 48-49), საქართველოს რომელი მხარეები ესაზღვრება აჭარას.

ტურისტებს აქ იზიდავს ადგილობრივი მდიდარი სამზარეულო, გამორჩეული ფლორა და ფაუნა, მრავალფეროვანი ისტორიული მემკვიდრეობა. აჭარის შავიზღვისპირეთში სუბტროპიკული ჰავაა. სანაპირო ზოლზე ხშირი და ძლიერი წვიმა იცის, მთიანი ნაწილი კი ზამთარში დიდთოვლიანობით გამოირჩევა.

წყარო 2. მაღალმთიანი აჭარა



წყარო 3. ხაბელაშვილების ხიდი შუახევის რაიონში. აჭარა ერთადერთი კუთხეა საქართველოში, სადაც წარსულში ხშირად აგებდნენ ყავრით გადახურულ ხის კოჭებიან ხიდებს. „ხაბელაშვილების ხიდი“ შუახევის რაიონში მდებარეობს. იგი უკვე 300 წლისაა და ჩვენამდე თითქმის პირვანდელი სახით არის მოღწეული. 2014 წელს სახელმწიფომ მას კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

დავალება

2. შენი აზრით, რატომ ხურავდნენ ყავრით ხიდებს აჭარაში (წყარო 3) და არ აკეთებდნენ ამას საქართველოს სხვა კუთხეებში.

აჭარაში, თურქეთისა და საქართველოს საზღვარზე, სოფელი **სარფი** მდებარეობს. იქ მოსახლეობის უმეტესობა ლაზია. **ლაზეთი** წარსულში საქართველოს ისეთივე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, როგორც დანარჩენი მხარეები. სხვადასხვა მიზეზის გამო, ლაზეთის უდიდესი ნაწილი დღეს თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია, საქართველოში კი მხოლოდ ეს ერთი სოფელი დარჩა, სადაც ლაზები ცხოვრობენ.

წყარო 4. სოფელი სარფი და საზღვარი თურქეთთან

ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდაა ძველი ბათუმისთვის დამახასიათებელი პატარა, მოხდენილი სახლები და თანამედროვე ცათამბჯენები. ტურისტები ხშირად სტუმრობენ ბათუმის კაფე-ბარებსა და სანაპიროზე მდებარე საცეკვაო კლუბებს. ბათუმში ფუნქციონირებს დელფინარიუმი, თეატრი, რამდენიმე მუზეუმი და სხვა კულტურული დაწესებულებები.

წყარო 5. თანამედროვე ბათუმი

წყარო 6. ბათუმის დელფინარიუმი

წყარო 7. ბათუმის ბოტანიკური ბაღი



წყარო 8. გონიოს ციხე ახ.წ. I საუკუნის 70-იან წლებში რომაელებმა ააგეს

დავალება

3. როგორ ფიქრობ, რატომ მოექცა ლაზეთი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში.
4. ჩამოთვალე, რუკის დახმარებით (გვ. 48-49), აჭარის ზღვისპირა კურორტები.
5. დაასახელე, წყაროების 1-8 დახმარებით, აჭარის ღირშესანიშნაობები.
6. შეადგინე ტურისტული მარშრუტი. ჩამოწერე, ის ღირსშესანიშნაობები (წყაროები 1-8), რომელთა ნახვას ტურისტებს ურჩევ.
7. მონახე რუკაზე (გვ. 48-49), რომელი უღელტეხილით შეიძლება აჭარიდან სამცხეში გადასვლა?
8. მონიშნე დროის ხაზზე გონიოს ციხის აგების დრო (წყარო 8). შენი აზრით, რა მიზნით ააგეს იგი რომაელებმა. საკუთარი ვარაუდი გადაამოწმე და დაზუსტებული ინფორმაცია კლასში განიხილეთ.
9. შენი აზრით, რატომ არის აჭარა პოპულარული ტურისტებს შორის. ჩამოთვალე მიზეზები.
10. მოიძიე, დამხმარე ლიტერატურისა და ინტერნეტ რესურსების მეშვეობით, ინფორმაცია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაცული იშვიათი ჯიშის მცენარეების შესახებ.

5.2 აჭარული კარმიდამო და დასახლების ტიპები

რა ახდენს გავლენას აჭარულ კარმიდამოსა და დასახლების ტიპებზე?

ლექსიკონი

საბძელი – თივის შესანახი.

ნალია – სიმინდის შესანახი ადგილი.

აჭარაში, დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მსგავსად, წარსულში სახლებს მთლიანად ხისგან აგებდნენ. აქაური სოფლები გორაკ-ბორცვებსა და შემაღლებულ ადგილებზეა გაშენებული, რომ მზის სხივები თანაბრად გადანაწილდეს და ნესტმა სახლის მაცხოვრებლები არ შეაწუხოს. სახლის ირგვლივ ეზოები ჰქონდათ, რომელიც წნული ღობით ჰქონდათ შემოღობილი. ეზო ორ ნაწილად იყოფოდა, რომლის ერთი ნაწილი სამეურნეო იყო, მეორე – დეკორატიული. სახლის ფასადით მისი მცხოვრებნი მეორე ნაწილში ანუ დეკორატიულ ეზოში გადიოდნენ. ის ყოველთვის სუფთად ჰქონდათ დაცული. სახლის ზურგით სამეურნეო ეზოში გადიოდნენ. იქ ედგათ საბძელი, ბეღელი, ნალია, ზოგჯერ საქათმეც. ზემო აჭარულ კარმიდამოს ბევრი საერთო ჰქონდა დასავლურ ქართულ კარმიდამოსთან, თუმცა იყო განსხვავებაც. აჭარულ სახლში ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი სასტუმრო ოთახები.

წყარო 1. საცხოვრებელი სახლი, აჭარა

აჭარა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მეწყერსაშიში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. იქ თითქმის ყოველწლიურად ხდება უბედური შემთხვევები, რომლებსაც ზოგჯერ მსხვერპლი მოჰყვება. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ეკომიგრანტებს სახელმწიფო საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასახლებს. ამ მიზეზით, გასულ საუკუნეში, აჭარლები გადაასახლეს სამცხეში, ჯავახეთში, კახეთში, გურიაში, ქართლსა და საქართველოს სხვა მხარეებში.

მეწყერის გამომწვევი მიზეზი ხშირი ნალექი და ციცაბო, უტყეო ფერდობებია. აჭარა თითქმის მთლიანად ტყით არის დაფარული, მაგრამ იქ იმდენად ხშირი და უხვი წვიმაა, რომ ხეებს მიწიდან ფესვებიანად გლეჯს და დაბლობში ჩააქვს. საქართველოში, ყოველწლიურად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი ნალექი აჭარაში, მტირალას მთაზე მოდის.

წყარო 2. მეწყერი

წყარო 3. მთა მტირალა

წყარო 4. გზა სოფელ თაგოსკენ

თანამედროვე ეპოქის დადგომასთან ერთად, სამშენებლო ტექნოლოგიები განვითარდა. შესაძლებელი გახდა სხვადასხვა მასალისგან ისეთი სახლების აშენება, რომლებიც მალე არ დაინგრევა და ჯანმრთელობისთვისაც საზიანო არ იქნება. კოლხეთის დაბლობზე ჭაობის ნაწილობრივ დაშრობამაც თავისი როლი ითამაშა და აჭარაში სამშენებლო ტრადიციები თითქმის მთლიანად შეიცვალა. დღეს უკვე იშვიათად აშენებენ ხის სახლებს, რადგან მათი აშენება უფრო დიდ შრომას მოითხოვს და ფინანსურად წამგებიანია. ამიტომ ხის სახლებს დეკორატიული დანიშნულებით ან ტურისტების მისაზიდად აშენებენ.

დავალება

1. რაზე მიუთითებს ის, რომ აჭარულ სახლებში სასტუმრო ოთახი იყო გამოყოფილი?
2. რატომ არის აჭარა მეწყერსაშიში მხარე?
3. რატომ იყენებდნენ აჭარაში სახლების მშენებლობის დროს, ძირითადად, ხის მასალას? რატომ აღარ არის ეს აუცილებელი დღეს?
4. კომუნიკაციის რომელი ახალი საშუალება ჩანს წყარო 4-ზე?

5.3 აჭარული სტუმართმოყვარეობა

სტუმართმოყვარეობის რა ტრადიცია აქვს აჭარას და როგორ ვლინდება იგი დღეს?

წყარო 1. ქართველი მეცნიერი აჭარლებზე

„აჭარელს, თუ რამ აბადია, სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცად თვლის“.

დავალება

1. იპოვე გაკვეთილის ტექსტში წინადადებები, რომლებიც აჭარლების სტუმართმოყვარეობაზე მეტყველებს.
2. როგორ გესმის წყარო 1-ში მოტანილი სიტყვები: აჭარელი სტუმარს ღვთის კაცად თვლის.

საქართველოში, მათ შორის, აჭარაში გავრცელებულ ტრადიციებს შორის აღსანიშნავია სტუმართმოყვარეობა. როდესაც საქართველოში ოჯახს სტუმარი ეწვეოდა, იგი მთელი სოფლის სტუმრადაც ითვლებოდა. თუ ამ ოჯახს, გაჭირვების გამო, არ შეეძლო სტუმარს ღირსეულად გამასპინძლებოდა, დასახმარებლად სოფელს მიმართავდა. ეს ყველასთვის დიდი პატივი იყო. სტუმრთმოყვარეობა აჭარაში იმდენად წმინდა საქმედ მიაჩნდათ, რომ სტუმრის ეროვნებასა და რელიგიას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ამას ჩვენს წინაპრებს ქრისტიანული რელიგია ასწავლიდა, რომელიც ადამიანებს რელიგიურობისა და წარმოშობის თვალსაზრისით არ ყოფს.

აჭარა დანარჩენი საქართველოსგან ერთი თავისებურებით გამოირჩეოდა. მის ყველა სოფელში სპეციალურად სტუმრებისთვის განკუთვნილი სახლი არსებობდა. ასეთი სახლები სოფლის განაპირას იდგა. ისინი საჭირო ნივთებით იყო აღჭურვილი და ყველა მგზავრს იქ გაჩერება შეეძლო. სახლის მოვლა და საჭირო ნივთებით მომარაგება მთელი სოფლის მოვალეობა იყო. აჭარაში სტუმრის სახლები XX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა. დღეს ადგილობრივი მოსახლეობა სტუმრისადმი პატივისცემას სხვაგვარად გამოხატავს.

თანამედროვე სამყაროში, გასულ საუკუნეებთან შედარებით, ცხოვრების სტილი შეიცვალა. მსოფლიოსა და, მათ შორის, საქართველოშიც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ტურიზმი იქცა. **ტოლერანტული** ანუ **შემწყნარებლური** ხასია-

წყარო 2. ტურისტული მარშრუტების მანიშნებელი

წყარო 3. ყოველ წელს შემოდგომაზე აჭარის გავლით მილიონი ფრინველი მიფრინავს გამოსაზამთრებლად. ფრინველთა მიგრაციას აჭარაში საგანგებოდ ჩასული ასობით ტურისტი, სპეციალისტი თუ უბრალოდ მოყვარული აკვირდება.

თიდან გამომდინარე, აჭარლებს არ გასჭირვებიათ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული სტუმრების მიღება. დღეს აჭარაში ასობით საოჯახო სასტუმროა გახსნილი, სადაც დამსვენებლები თავს კომფორტულად გრძნობენ. ასეთ სასტუმროებში ტურისტები უკეთ ეცნობიან ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს, ვიდრე დიდი ზომის დაწესებულებებში.

წყარო 4. საოჯახო სასტუმროები აჭარის მაღალმთიან სოფლებში

წყარო 5. ტურისტები ეცნობიან ოჯახურ სამჭედლოსა და აჭარულ ფოლკლორს

წყარო 6. ტურისტების თანდასწრებით მზარეული აჭარულ ხაჭაპურს აცხობს

დავალება

3. რაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ აჭარის მკვიდრები და, საერთოდ, ქართველები, სტუმრის მიღებაზე უარს არ ამბობდნენ იმის მიუხედავად, რომელი რელიგიის მიმდევარი ან რა ეთნიკური წარმომავლობის იყო იგი?
4. მოიფიქრე, რით შეგიძლია მიიზიდო ტურისტები შენს მხარეში. გამოიყენე აჭარის მაგალითი (წყაროები 3-6).
5. იმსჯელეთ, რა უპირატესობები აქვს საოჯახო სასტუმროებს თანამედროვე სასტუმროებთან შედარებით აჭარაში (წყაროები 4-5).

5.4 აჭარელთა სამეურნეო საქმიანობა

რა არის აჭარელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და რატომ?

ლექსიკონი

იაილა – მთის საძოვრები, სადაც ზაფხულობით საქონელი აჰყავთ.

აჭარაში სამეურნეო საქმიანობის ყველა ის დარგი იყო განვითარებული, რაც დანარჩენ საქართველოში: მიწათმოქმედება-მემინდვრეობა (მოჰყავდათ ფეტვი, ხორბალი, ქერი, ჭვავი), მეხილეობა, მევენახეობა (ჰქონდათ მაღლარი ვენახი), მესაქონლეობა და ა.შ. თუმცა, აჭარლების მთავარი სამეურნეო დარგი მაინც მესაქონლეობა იყო. ვინაიდან აჭარაში ბევრი ფერდობი იყო, იცოდნენ დაქანებული მიწის ნაკვეთებზე ტერასების გაკეთება. ტერასები ხის კედლებით იყო გამაგრებული. კედლის გასწვრივ სამ-ოთხ მეტრში წინა მხრიდან საგანგებოდ ჰქონდათ დარგული ტირიფები, რომლის ფესვები მიწას მოწყვეტის საშუალებას არ აძლევდა.

წყარო 1. ბეშუმის იაილა

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აჭარაში მესაქონლეობა თავისებური იყო. იმის გამო, რომ სოფლის ირგვლივ არსებულ მიწას მხოლოდ სახნავ-სათესად და სათიბად იყენებდნენ, გაზაფხულის დადგომისთანავე, ძროხები ბაგურ კვებას წყვეტდნენ და სოფლიდან მოშორებით არსებულ საძოვრებზე გადაჰყავდათ. საძოვრები ხშირად მთაში მდებარეობდა. მათ **„იაილას“** უწოდებდნენ. მაგრამ იაილა არა მხოლოდ საძოვრებს, არამედ იქ აგებულ საცხოვრებლებსაც გულისხმობდა. მთის საცხოვრებლებთან ბოსტნებიც ჰქონდათ. სამი-ოთხი თვის განმავლობაში ოჯახის წევრების თითქმის ნახევარი იაილაზე ატარებდა. იქვე რძის სხვადასხვა პროდუქტს ამზადებდნენ.

დავალება

1. რატომ იყო თავისებური აჭარული მესაქონლეობა?
2. შენი აზრით, რით იქნებოდნენ დაკავებული ბავშვები იაილებზე.

იაილებზე ყოფნის შუა პერიოდში ტრადიციული დღესასწაულიც ეწყობოდა, რომელსაც **შუამთობას** უწოდებდნენ. შუამთობა ერთი კვირა გრძელდებოდა და დღესასაულზე მისულ ოჯახის წევრებს, მისი დამთავრების შემდეგ, სახლში

დამზადებული რძის პროდუქტები მიჰქონდათ. რძის პროდუქტები კი მრავალფეროვანი ჰქონდათ – კარაქი და სხვადასხვაგვარი ყველი. აჭარული ყველი თითქმის ერთი წელი ინახებოდა.

წარსულის მსგავსად, ბეშუმის იაილებზე ხალხი კვლავ დადის და შუამთობის დღესასწაულიც ყოველწლიურად იმართება. თუმცა ამჯერად, ტურისტები და დამსვენებლები აქტიურობენ. შუამთობა ყოველწლიურად უფრო ორგანიზებული ხდება, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ამ ღონისძიებას თავად გეგმავს და ახორციელებს. ბეშუმი სამთო დასასვენებელ კურორტად გადაიქცა.

წყარო 2. შუამთობის დღესასწაული ბეშუმში

დავალება

3. როგორ ფიქრობ, რა დანიშნულება ჰქონდა წინათ შუამთობას და რა დანიშნულება აქვს დღეს (წყარო 2).

აჭარაში ტრადიციული იყო ე.წ. **გეჯური მეფუტკრეობა**. ფუტკარი ჰყავდათ არა სკებში, არამედ გეჯებში. გეჯი ამოღარული მორი იყო.

წყარო 3. ფუტკრის გეჯები აჭარაში

დავალება

4. დაგეგმეთ, რუკის დახმარებით (გვ. 46-47), ტურისტული მარშრუტი ბეშუმის იაილიდან ხიხანის ციხის მიმართულებით. შენი აზრით, წლის რომელ დროს ჯობია ამ მარშრუტით სარგებლობა? რა ტრანსპორტით? პასუხი დაასაბუთე.

5.5 რელიგია აჭარაში

რა ადასტურებს იმას, რომ სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი აჭარლები ერთი და იმავე ეროვნების წარმომადგენლები არიან?

ქართლის სამეფოს წარმოქმნისთანავე, აჭარა მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ქრისტიანობა ქართლში ოფიციალურ რელიგიად ახ.წ. IV საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა, მაგრამ მანამდე, ყველაზე ადრე, I საუკუნეში, აჭარაში გავრცელდა. ქრისტიანობა აქ **ანდრია პირველწოდებულმა** იქადაგა.

✓ დავალება

1. მონიშნე დროის ხაზზე აჭარაში ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელების საუკუნეები.
2. გაიხსენე, როგორ უწოდებენ კიდევ პერიოდს ქრისტეს შობამდე და ქრისტეს შობის შემდეგ.

წყარო 1. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკება სარფში

ანდრია პირველწოდებული იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე იყო. მას ქართლის სამეფოს გაქრისტიანება დაევალა. იგი ქართლისკენ გაემგზავრა და ქრისტიანობა პირველად აჭარაში იქადაგა. ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში პირველი ეკლესია აჭარაში ააგო. ამ ადგილს დღეს **დიდაჭარა** ჰქვია. სოფელ დიდაჭარაში დღემდე არის შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულმა ააშენა.

XVI საუკუნეში აჭარა თურქებმა დაიპყრეს და ის სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. აჭარის მკვიდრი ქრისტიანი ქართველები დიდხანს უწევდნენ თურქებს წინააღმდეგობას – ისლამს არ იღებდნენ. მაგრამ ბოლოს ზეწოლას ვეღარ გაუძლეს და მიიღეს. ქრისტიანობის ნაკვალევი დღემდე შემორჩა აჭარას. ერთ-ერთი ასეთია სხალთის ტაძარი.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა დიდი ხნის განმავლობაში სხვა ქვეყნის მიერ იყო დაპყრობილი, მის მოსახლეობას დანარჩენ საქართველოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. გამუსლიმებამ აჭარლებს არც ქართული დედაენა და არც კულტურა დააკარგვინა. დღესაც ბევრი აჭარელი ისლამის მიმდევარია, მაგრამ განსხვავებული რელიგია ქართველობისგან მოწყვეტას არ ნიშნავს. ამის ნათელი მაგალითი იყო

წყარო 2. სხალთის ტაძარი

წყარო 3. მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმში

მემედ აბაშიძე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ერთიანობისა და მუსლიმი ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის იბრძოდა.

წყარო 4. ჩიქუნეთის ჯამე

აჭარლებმა თავიანთი დახვეწილი ხელოსნობის დახმარებით ათობით ხის **ჯამე** ააშენეს და ლამაზი ორნამენტებით გააფორმეს. განსაკუთრებული სილამაზით ჩიქუნეთის ჯამე გამოირჩევა.

დღეს აჭარლების აშენებული როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმური სალოცავები ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

ლექსიკონი

ჯამე – მუსლიმანთა სალოცავი.

ოსმალეთის იმპერია – იგივე თურქეთი ძველად.

დავალება

3. შენი აზრით, ვის და რატომ უგებენ ძეგლს. რატომ დაუდგეს ძეგლი მემედ აბაშიძეს (წყარო 3)?
4. გაიხსენე და ჩამოთვალე, როგორ უნდა მოიქცე კულტურული ძეგლის დათვალიერების დროს, რომ იგი არ დააზიანო. როგორ შეგიძლია იზრუნო მასზე და იმ გარემოზე, სადაც ძეგლი მდებარეობს.
5. მოიძიე, დამატებითი მასალების დახმარებით, ინფორმაცია ჩიქუნეთის ჯამესა და სხალთის ეკლესიის მდებარეობისა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

5.6 აჭარა – ქართული ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი

რატომ განვითარდა ხელოსნობის ტრადიციული დარგები აჭარაში?

ხელოსნობა საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იყო განვითარებული. აჭარლები კარგი ხითხუროები და ქვითხუროები იყვნენ. ისინი ამ საქმიანობით მთელ საქართველოში იყვნენ სახელგანთქმული. ხის ოსტატებს ორნამენტიც გამოჰყავდათ. ეს ტრადიცია მათ აჭარული ხის სახლების, მუსლიმური საკულტო ნაგებობების (მეჩეთი, ჯამე) მშენებლობაშიც გამოიყენეს. დაწინაურებული იყო ხის მაგიდის, სამფეხა სკამებისა და წნული ჭურჭლის – გოდორი, გიდელი, კალათა – კეთება. სუროს ტკეჩით მოქსოვილი საფქვილე გოდრები წყალსაც კი არ ატარებდა. ხისგან მზადდებოდა ასევე რძის ჭურჭელი და იგი გასაყიდად გაჰქონდათ.

ლექსიკონი

ხითხურო – ხეზე კვეთის ოსტატი.

ქვითხურო – ქვაზე კვეთის ოსტატი.

წყარო 1. მაჭახელას ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ჯამე უკვე 200 წელზე მეტი ხნის არის. მიუხედავად ამისა, მისი შიდა მოხატულობა კვლავ ძველებურად ბრწყინავს და ოდნავაც არ გახუნებულა.



ვახუშტი ბაგრატიონი

ვახუშტი ბაგრატიონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში. მან დაწერა წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამისთვის კი ფეხით შემოიარა საქართველო, დაახასიათა მაშინდელი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდგომარეობა და ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მცხოვრები ხალხის ხასიათიც კი შეისწავლა.

დავალება

1. როგორ გესმის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები (წყარო 2)?

წყარო 2. XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი აჭარლებზე

„კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“.

წყარო 3. აჭარელი ხითხუროები ბოლო დრომდე მთელ საქართველოში დადიოდნენ და ხის სახლებს აგებდნენ.

წყარო 4. ა) გიდელი, ბ) სადღვებელი, გ) გოდორი

აჭარელი ხის ოსტატების ნახელავმა დღემდე პირვანდელი სახით მოაღწია. მათი ნახვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებშიც შესაძლებელია.

სახლების ასაშენებლად მათ საქართველოს სხვადასხვა მხარეში იწვევდნენ, რადგან კარგი ქვითხუროებიც იყვნენ. იმის გამო, რომ აჭარა, ძირითადად, მთიანი მხარეა, იქ სახნავი მიწა შედარებით ნაკლები იყო და მოსავალსაც იმდენს ვერ იღებდნენ, რომ ოჯახის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. ამან განაპირობა ხუროობის მაღალი დონე. დღეს ეს ხელობა ისეთი მოთხოვნადი აღარ არის, სახლებს უკვე თანამედროვე სამშენებლო მასალით და სპეციალური ტექნიკით აშენებენ.

ლექსიკონი

გოდორი – იქსოვება ხის წვრილი ტოტებისგან.
სადღვებელი – სპეციალური ჭურჭელია. მასში დამჟავებული რძე ისხმევა და დიდი ხნის მოძრაობის შემდეგ რძე ჯერ ნაღებად გარდაიქმნება, შემდეგ კი კარაქად.
გიდელი – იქსოვება ხის ანათალი კანისგან.

დავალება

2. რაზე მეტყველებს ის, რომ სადღვებელი აჭარაში ხისგან მზადდებოდა (წყარო 4)?
3. როგორ ფიქრობ, დღეს როგორ ამზადებენ კარაქსა და ყველს, ასევე, რძის სხვა პროდუქტებს.
4. შენი აზრით, დღეს შემორჩა თუ არა ხით და ქვითხუროების სპეციალობა. პასუხი დაასაბუთე.

აჭარაში ბევრი ქვის თაღიანი ხიდი იყო. ჩვენამდე 35-მდე ასეთმა ხიდმა მოაღწია. ძირითადად, ისინი ძველ სავაჭრო-საქარავნო გზებზე კეთდებოდა.

წყარო 5. თამარის ხიდი ფურტიოში

წყარო 6. დანდალოს ხიდი

აჭარაში განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ადგილობრივი საბრძოლო იარაღი. მაჭახლის ხეობაში ამზადებდნენ როგორც ცივ, ასევე ცეცხლსასროლ იარაღს – თოფებსა და დამბაჩებს. დროთა განმავლობაში თოფი „მაჭახელა“ იმდენად ცნობილი გახდა, რომ მას მთელ კავკასიაში საუკეთესოს სახელი ჰქონდა და ოსმალეთშიც კი იყიდებოდა. იგი გამოირჩეოდა სიმტკიცით, გამძლეობითა და სიზუსტით.

მაჭახლის ხეობაში დამზადებული „მაჭახელა“ თოფის ერთი ეგზემპლარი დღეისათვის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. თოფი 1881 წელს მარადიდში მცხოვრებმა მაიორმა ახმედ ეფენდი ხალვაშმა გურიის ქვეითი რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ერმალო ნიჟარაძეს აჩუქა. ამ უკანასკნელმა თოფი, ხანჯალთან ერთად, მუზეუმს გადასცა.

წყარო 7. თოფი მაჭახელა



წყარო 8. თოფი „მაჭახელას“ ძეგლი ხეობის შესასვლელში

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკლისს აჭარის მკვიდრები გარე სამუშაოზე სიარულით ივსებდნენ. გარე სამუშაოზე სიარულის ტრადიცია აჭარლებს ბოლო დრომდე შემორჩათ. მაგალითად, ერთი საუკუნის წინ აჭარის მაღალმთიანეთიდან საკუთარი ხარითა და ცხენით ჭიათურის მაღაროებშიც კი დადიოდნენ სამუშაოდ. დღეს კი, ძირითადად, მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში დადიან.

დავალება

4. შეადარე წყარო 5-ზე ძველი და ახალი ხიდები. რა განსხვავებაა მათ შორის?
5. რატომ განვითარდა ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება აჭარის ტერიტორიაზე?
6. გაიხსენე, რომელი სახელმწიფო ესაზღვრებოდა მას სამხრეთიდან.
7. მოიძიე და უყურე ინფორმატიკის გაკვეთილზე, ინტერნეტის საშუალებით, დოკუმენტურ ფილმს „თოფი მაჭახელა“. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა დღეს ამ თოფის კვლავ წარმოება. პასუხი დაასაბუთე.
8. რატომ დადიოდნენ აჭარელი ოსტატები საქართველოს სხვა კუთხეებში სამუშაოდ?
9. გაიხსენე საქართველოს შენთვის ცნობილი კიდევ რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან დადიოდნენ გარესამუშაოზე. რა იყო ამის მიზეზი წინათ და რა არის დღეს?
10. შეადგინე და რვეულში შეავსე ცხრილი: „გარესამუშაოებზე წასვლის მიზეზები“.

5.7 აჭარული ფოლკლორი

რატომ უნდა ვამაყობდეთ აჭარული ფოლკლორით?

საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ მისთვის დამახიათებელი ფოლკლორი შექმნა. დღეს ხალხური ცეკვები და სიმღერები სცენაზე სრულდება. მაგრამ წინათ მღეროდნენ და ცეკვავდნენ არა მხოლოდ დღესასწაულის დროს, არამედ შრომის პროცესში, სუფრასთან და მწუხარების დროსაც კი. აჭარულ ცეკვებს შორის ყველაზე ღირსშესანიშნავი მეომრული ცეკვა „**ხორუმია**“. იგი საბრძოლო სცენებს გამოხატავს და რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება. ესენია: ბრძოლისთვის მომზადება, დაზვერვა, მტერთან შეხვედრა და ბრძოლა, მტერზე გამარჯვება და შინ დაბრუნება. „ხორუმი“ ოპტიმისტური ხასიათის ცეკვაა. მებრძოლი მოცეკვავეები გამარჯვებულები ტოვებენ ბრძოლის ველს და დაჭრილი წინამძღოლიც „ბრძოლის ველიდან“ გაჰყავთ. ამ ცეკვის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს და მას ცეკვავდნენ არა მხოლოდ აჭარაში, არამედ გურიაშიც, შავშეთ-იმერხევსა და კლარჯეთშიც.

წყარო 1. ხორუმი სცენაზე

აჭარელთა ზოგიერთი ცეკვა და სიმღერა მუშაობის პროცესთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მას ასრულებდნენ მოსავლის აღების დროს. გამოცდილებიდან გამომდინარე, აჭარელი გლეხები მიხვდნენ, რომ შრომის დროს თუ იმღერებდნენ, დრო უფრო მხიარულად გადიოდა და სამუშაოსაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად ასრულებდნენ.

ქალები ხშირად მღეროდნენ ქსოვის დროს. სიმღერები სამხმიანი იყო. პოპულარული იყო საქორწილო სიმღერა „**ჰორირამა**“, ცეკვა „**განდაგანა**“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი სასულიერო პირები სიმღერებს კრძალავდნენ, აჭარაში მცხოვრებმა ქართველებმა ეს ტრადიცია შეინარჩუნეს და იგი დავიწყებას არ მიეცა.

წყარო 2. ცეკვა განდაგანა ანსამბლ „ბერმუხას“ შესრულებით, სადაც 80 წელს გადაცილებული მოცეკვავეებიც არიან.

აჭარული ფოლკლორი გამოირჩევა სითამამით, ბრძოლის ჟინითა და სილაღით. დროთა განმავლობაში, აჭარულმა ცეკვა-სიმღერებმა ცვლილება განიცადა, დაემატა ახალი ელემენტები და შეივსო მოძრაობებით, თუმცა, ყველაზე მეტად მათი დანიშნულება შეიცვალა. XX საუკუნიდან მოყოლებული ათობით ფოლკლორული ანსამბლი შეიქმნა. მათ ცეკვები სოფლებიდან სცენაზე გადაიტანეს და მთელ მსოფლიოს გააცნეს.

დავალება

1. შენი აზრით, რა ახდენდა გავლენას აჭარულ ფოლკლორზე.
2. რით ახსნი საბრძოლო ცეკვის „ხორუმის“ შექმნას?
3. შეადარე ერთმანეთს აჭარული და შენთვის ნაცნობი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ტრადიციული ტანსაცმელი (წყაროები 1, 2 და, მაგალითად, გვერდი 40, წყარო 2). რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის?
4. მოიძიე ინფირმაცია ცნობილი ქართული ფოლკლორული ანსამბლების: „სუხიშვილები“, „ერისიონი“, „რუსთავი“, „ბერმუხა“ დაარსებისა და მათი მოღვაწეობის შესახებ. დაესწარი მათ კონცერტს, თუკი ამის შესაძლებლობა გექნება.

რა ვიცი და რა შემიძლია

აჭარის ეკონომიკის ძირითადი დარგია ტურიზმი. აჭარაში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის კურორტების არსებობა. ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს გართობისა და დასვენების მრავალფეროვანი არჩევანი. სახელმწიფო და კერძო ბიზნესი სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს, რომ ტურისტებს კომფორტი შეუქნას და მათი დასვენება უფრო სასიამოვნო გახადოს. მაგალითად, ბათუმში ველოსიპედებისთვის სპეციალური ბილიკების მოწყობამ ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ტურისტებიც დააინტერესა და ქალაქში ველოსიპედებით გადაადგილების კარგი შესაძლებლობა შექმნა. სიახლემ ხელი შეუწყო ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და ეკოლოგიური საკითხების გაუმჯობესებას.

ამ მაგალითის გათვალისწინებით შეგიძლია დაეხმარო სახელმწიფოს, რათა აჭარაში ტურიზმი უფრო განვითარდეს. **ამისთვის**:

- მოიძიე, ინტერნეტის მეშვეობით, ინფორმაცია, რა ღონისძიებები იმართება მსოფლიოს სხვა ტურისტულ ადგილებში დამსვენებლებისთვის კომფორტის შესაქმნელად.
- შეადარე მიღებული ინფორმაცია აჭარაში არსებულ მდგომარეობას, შესაძლებელია თუ არა აჭარაში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება?
- გამოკითხე შენი მეგობრები, მშობლები და ნაცნობები, ვინც სხვა ქვეყნებში ყოფილან დასასვენებლად, რა მოეწონათ მათ იქ ისეთი, რაც აჭარაში არ არის და რისი განვითარებაც შესაძლებელია?
- ჩამოწერე, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შენი რეკომენდაციები. განიხილეთ კლასში, შეაჯერეთ და დაწერეთ კოლექტიური წერილი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სახელზე, რომელშიც შესთავაზებთ თქვენს მიერ მოფიქრებულ ღონისძიებებს.

წყარო 1. ტურისტები ბათუმში